# ხობის მოამბე



№26 (7068)
14 დეკემბერი, ოთხშაბათი, 2011 წელი.
ფასი 50 თეთრი.


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

9 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას უძღვებოდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ჭოხონელიძე.

საკრებულოს სხდომა გამოირჩეოდა დამსწრე საზოგადოების სიმრავლით. მას საკრებულოს წევრები, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ადგილობრივი პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილი იყო შემდეგი საკითხები:

1. განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის 52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

2. განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–„ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“.

3. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

4. განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“.

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინადადების განხილვა.

პირველი ოთხი საკითხი საკრებულოს სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მერაბ სილოგავამ.

მეხუთე საკითხი, რომელიც ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, საკრებულოს სხდომას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ წარუდგინა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, წარმოდგენელი საკითხების განხილვისას აღნიშნა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ის წარმატებები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა აღწევს სხვადასხვა სფეროში. ამიტომაც, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება დღეს ერთად დგომა, კონსოლიდაცია, ერთმანეთის მხარდამხარ სიარული, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის საერთო წარმატებებში. უნდა გავუფრთხილდეთ ადგილობრივი ბიუჯეტის თითოეულ თეთრს და მიზანმიმართულად ვხარჯოთ იგი ჩვენი ხალხის, თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ.

მე-5 საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა კანონით და საკრებულოს დებულებით გათვალისწინებულ იმ პროცედურებზე, რასაც გამგებლის დანიშვნა ითვალისწინებს. ამის შემდეგ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ საკრებულოს წევრებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე გოგა ღურწკაიას კანდიდატურა წარუდგინა.

საკრებულოს წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცა თანხმობა, გოგა ღურწკაიას ხობის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

განსახილველი პროექტების დამტკიცების შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N291

*ქ. ხობი* *2011 წლის 9 დეკემბერი*

### გოგა ღურწკაიას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილებისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე გოგა ღურწკაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის N105 განკარგულების შესაბამისად ვბრძანებ:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლად დაინიშნოს გოგა ღურწკაია.
2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საკრებულოს მიერ დადგენილი გამგებლის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

**მამუკა ჭოხონელიძე,**
**საკრებულოს თავმჯდომარე.**

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა ღურწკაია



გოგა ღურწკაია დაიბადა 1982 წლის 12 დეკემბერს, ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში.

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია–იურიდიული ფაკულტეტი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

2007-2010 წლებში მუშაობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მთავარ სპეციალისტად იურიდიულ საკითხებში. 2010 წლიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია ნაციონალური მოძრაობის სიით.

2010–2011 წლებში მუშაობდა შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქვემო ქართლის რეგიონალური ფილიალის შემოსავლების სამსახურის უფროსად. 2011 წლის ოქტომბრიდან კი შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქვემო ქართლის რეგიონალური ფილიალის მენეჯერის მოადგილედ.

2011 წლის 9 დეკემბერს დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლად.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

ფლობს ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებს.

## ვიხილავთ ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს

### რეზერვები უნდა გავითვალისწინოთ



„ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი საკრებულოში შემოსულია დროულად, ანუ საანგარიშო წლის დაწყებამდე 45 დღით ადრე. იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და დანართის სახით წარმოდგენილია 236 ფურცელზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გამგეობის შესაბამისი სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დიდი მოცულობის სამუშაოებია გაწეული.

2012 წლის ბიუჯეტის პარამეტრები შემდეგ სურათს იძლევა. 2012 წლის ბიუჯეტის შემოთავაზებული მაჩვენებლებია შემოსავლების სახით 5926,3 ათასი ლარი, მათ შორის: გადასახადებია 5163,6 ათასი ლარი, გრანტები–333,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები–423,7 ათასი ლარი. შედარებისთვის: მთლიანი ბიუჯეტის მოცულობა 2011 წელს შეადგენს 7186,2 ათას ლარს, მათ შორის: გადასახადები–5180,9 ათას ლარს, გრანტები–1482,9 ათას ლარს და სხვა შემოსავლები 524,4 ათას ლარს. როგორც ვხედავთ, მიმდინარე წელთან შედარებით, სასტარტო მაჩვენებელი მომავალ წელს ნაკლებია 1261,9 ათასი ლარით. აქ ცნობისათვის მინდა მოგახსენოთ, რომ საგრანტო შემოსავალი 1149,9 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილი და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან, „სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამები“ და ეკონომიკური პროექტების მოცულობები, როგორც წესი, მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო წლის დასაწყისში, გამომდინარე აქედან, ჩემი აზრით, საგრანტო შემოსავალი აუცილებლად გაიზრდება, მათ შორის: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისათვის“ დამატებით გამოიყოფა მინიმუმ 700,0 ათას ლარზე მეტი და ასე შემდეგ. გარდა ამისა, მიმდინარე წელთან შედარებით 100,7 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილი სხვა შემოსავლები.

მიმდინარე წლის 11 თვეში საკუთარი შემოსავლების გეგმა შესრულებულია 87,2%-ით, 1 დეკემბრისათვის ბიუჯეტში მობილიზებულიქნა 5062,6 ათასი ლარი, ნაცვლად 5805,3 ათასი ლარისა, ეს იმის წინაპირობაა, რომ საკუთარი შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული. მარტივი გაანგარიშებით, წლის ბოლომდე გეგმის შესასრულებლად უნდა შემოვიდეს 742,7 ათასი ლარი, ფაქტობრივად, წლის ბოლომდე მინიმუმ უნდა შემოვიდეს ერთი მილიონი ლარი. ნოემბერში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგრანტო შემოსავლების ხაზით მუშაობა და, თუ 10 თვეში შესრულების პროცენტი შეადგენდა 66,5%-ს, 11 თვის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი შესრულებულია 87,3-ით. ამჟამად მიმდინარეობს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მეორე ეტაპის სამუშაოები, ასევე, ეკონომიკური პროგრამებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებზე, ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და, შესაბამისად, ათვისებულიქნება ეს თანხები, საბოლოო ჯამში, დაგეგმილი საბიუჯეტო მაჩვენებელი, სავარაუდოდ შესრულდება.

რაც შეეხება 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს, მის შედგენაზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დიდი მოცულობის სამუშაოებია შესრულებული, მაგრამ ბუნებრივია, მასში არის და იქნება კიდევაც მთელი რიგი შენიშვნები. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის დამუშავება, რა მიზნითაც დაგეგმილია შეხვედრები მოსახლეობასთან. პროექტი უკვე გამოქვეყნდა პრესაში, საბოლოოდ შეჯერებული იქნება 2012 წლის ბიუჯეტის პარამეტრები. არსებობს რეზერვები და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული. თითოეულმა ჩვენგანმა თავისი საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ 2012 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში.

**ბორის ჯიქია,**
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.***

# მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს გამთლიანების გზა ევროპაზე გადის



საქართველოს პრეზიდენტმა ევროპის სახალხო პარტიის მე-20 ყრილობის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ევროპელი ლიდერები მარსელში ევროზონის კრიზისისა და ევროს გადარჩენის საკითხებს განიხილავენ. სხდომის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა, კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ევროპული კრიზისის გადაწყვეტის გზების ძიებისა და ამ დიალოგში საქართველოს ჩართვის მნიშვნელობაზე.

„რა თქმა უნდა, ევროპის კრიზისი საქართველოსთვისაც პრობლემურია. ვფიქრობ, ევროკავშირი გამოსავალს იპოვნის - საკმაოდ მძიმე დებატები მიმდინარეობს. თავისთავად, ის ფაქტი, რომ მაგიდას, რომელთანაც ეს დიდი საკითხები წყდება საქართველოც უზის, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. კარგად მახსოვს, როდესაც ჩვენი ქვეყანა დსთ-ს წევრი იყო და დსთ-ს ყველა სხდომას ვესწრებოდით, ამ ორგანიზაციის წევრებს არაფერს არ ეკითხებოდნენ მათი აზრი საერთოდ არ აინტერესებდათ. როდესაც მეკითხებიან, რა განსხვავებაა ევროპასა და დსთ-ს შორის, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ევროპა არის თავისუფალ ერთა კავშირი, რომელიც ეფუძნება თავისუფალ ნებას, პატივს სცემენ ჩვენს თავისუფლებას და სუვერენიტეტს. თავისთავად, ის, რომ ტერმინები „ოკუპაცია“ და „ეთნიკური წმენდა“ ასე მყარად დამკვიდრდა, გადამწყვეტია. პატარა ქვეყნისთვის საერთაშორისო სამართალი მთავარი რამ არის. საქართველოს ქვეყნის მიტაცების მსურველს, რუსეთს სურდა, რომ ღამე დაემთავრებინა საკუთარი „საქმე“, რათა დღის სინათლეზე არაფერი არ გამოჩენილიყო და ყველა კვალი წაშლილიყო. რეალურად, სამართლებრივად, ევროპის პოზიცია უკვე არის ის, რომ მოხდა ჩვენი მიწების სამხედრო ოკუპაცია, საქართველოს მიმართ განხორციელდა ეთნიკური წმენდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ოკუპაცია ჩვენთვის, ვფიქრობ, საკმაოდ მოკლევადიანი რამ არის. ეს დროებითი სიტუაციაა იმ თვალსაზრისით, რომ ყოველგვარი ოკუპაცია დასრულდება დეოკუპაციით და ეთნიკური წმენდის „ავტორები“ადრე თუ გვიან აუცილებლად აგებენ პასუხს თავიანთ ქმედებებზე. ეს იურიდიული კონსტრუქცია ჩვენთვის დიდი დიპლომატიური მიღწევაა. დღეს ევროპაში, რა თქმა უნდა, არის ფინანსური პრობლემები, მაგრამ ის, რაც დღეს რუსეთში ხდება, უნდა აფიქრებდეს, მათ შორის, მათ, ვინც ვერ გადააბიჯა საკუთარ მენტალიტეტს და გამოსავალს ჩრდილოეთში ხედავს. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი გზა, გზა ევროპისკენ. საქართველოს გამთლიანების გზა სწორედ ევროპასთან ინტეგრაციაზე გადის. კიდევ ერთი, სრულიად ნათელი რამ, რაც მინდა ვუთხრა მათ, ვისაც ეს ეეჭვება არანაირი ვეტოს უფლება არც ერთ სხვა მხარეს, განსაკუთრებით, რუსეთს, ჩვენი ევროინტეგრაციის პროცესში, არ გააჩნია. ევროპაში არის ხალხი, რომელიც სკეპტიკურად არის განწყობილი, არის ხალხი, რომელიც უფრო დიდი ენთუზიაზმით უყურებს იმას, რომ საქართველო უნდა იყოს ევროკავშირის წევრი და ასეთი აბსოლუტური უმეტესობაა. სხვათა შორის, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დახურულ შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ საქართველო უნდა იყოს ევროკავშირის წევრი. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან აქ ამაზე ამდენი არასდროს ულაპარაკიათ. მართალია, თბილისში შევეხეთ ამ საკითხს, მაგრამ ევროკავშირის სამიტებზე, პირველად, საფრანგეთის ამ დიდი ქვეყნის პრეზიდენტმა წამოჭრა ეს თემა. საბოლოოდ, ჩვენთვის ეს არის ერთადერთი მომავალი, რომელსაც ალტერნატივა, უბრალოდ, არ გააჩნია. ჩვენ უნდა ვიყოთ ევროპული დემოკრატია, რომელიც იქნება ევროკავშირის წევრი“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ევროპულ ღირებულებებსა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე გაამახვილა ყურადღება ქვეყნის პირველმა პირმა მარსელში, კონგრესის მუშაობის პირველ დღეს, ევროპელი ლიდერებისადმი მიმართვისას. ევროპის სახალხო პარტიის კონგრესის მუშაობას საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი და ევროპის სხვა ლიდერები ესწრებოდნენ.

# მიხეილ სააკაშვილი: რაც კეთდება ანაკლიაში და რაც გაკეთდება ლაზიკაში, ჩემი აკვიატება არ არის

ბათუმმა ძალიან პრესტიჟული პრიზი მიიღო, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კანში, ამერიკის აკადემიის დაჯილდოების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ჯილდოს დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისთვის, რადგან ეს, ამავდროულად რეკლამაა.

„ეს ნიშნავს, რომ ბევრად მეტი ტურისტი ჩამოვა, ბევრად მეტი ინვესტიცია ჩაიდება, მეტი ხალხი დასაქმდება და ჩვენი მოსახლეობისთვის უკეთესი პირობები შეიქმნება. ბათუმში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ახალი ქალაქი აშენდა და ვისაც ჰგონია, რომ ეს იგივე ბათუმია, სჯობს სათვალე კარგად გაიწმინდოს. ბოლო 2 წლის მანძილზე რაც კეთდება ანაკლიაში, რაც კიდევ გაკეთდება ლაზიკაში, რომელსაც მე ძალიან პრაგმატულად ვუყურებ და ეს ჩემი აკვიატება არ არის, არის ხალხის დასაქმების და ინვესტიციების მოზიდვის უდიდესი პერსპექტივა. საქართველო უკვე მსოფლიო რუკაზე დამკვიდრდა, ჩვენს ქალაქებს ცნობენ. ეს არა მხოლოდ ეკონომიკური პერსპექტივის მომცემია, არამედ უფრო დაცულები ვიქნებით, როგორც ქვეყანა, როდესაც გარდა ერთი ქვეყნისა, რომელსაც ჩვენი გადაყლაპვა უნდა, სხვა ქვეყნებიც გვცნობენ, გვაფასებენ და არ უნდათ, ვინმემ გადაგვყლაპოს“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

ქართული ტელეკომპანიების ცნობით, ბათუმმა ტურიზმსა და მასპინძლობის სექტორში უმაღლესი ჯილდო მიიღო. კანში, ამერიკის აკადემიის კონკურსში საქართველომ გამარჯვება სამ ნომინაციაში მოიპოვა. ხუთვარსკვლავიანი ბრილიანტის ჯილდოს გადაცემის ცერემონია სასტუმრო „მარტინესში“ გაიმართა.

ამერიკის აკადემიამ დააჯილდოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც ინვესტორებისთვის მეგობრული რეგიონი; ბათუმი, როგორც საუკეთესო ახალი კურორტი; ლევან ვარშალომიძეს კი ინოვაციური მმართველობისთვის სპეციალური ჯილდო გადაეცა.

**„ინტერპრესნიუსი“**

# დავით ბაქრაძე–რუსეთის არჩევნები უნდა იყოს მაგალითი ყველასათვის, ვისაც მიაჩნია, რომ რუსეთში უფრო განვითარებული დემოკრატიაა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იზიარებს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის შეშფოთებას, რომელთაც რუსეთში მიმდინარე არჩევნების დაკვირვების საშუალება ჰქონდათ.

როგორც დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთში ჩატარებული არჩევნები თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც მიაჩნია, რომ რუსეთში უფრო განვითარებული დემოკრატიაა, ვიდრე საქართველოში.

„ის, რაც მოხდა ორი დღის წინ რუსეთში, რა ფორმითაც რუსეთში არჩევნები ჩატარდა, უნდა იყოს თვალსაჩინო მაგალითი ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც საქართველოში მიაჩნია, რომ რუსეთში უფრო განვითარებული დემოკრატიაა, ვიდრე საქართველოში,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ და დასძინა, რომ ამ არჩევნებზე პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირეს როგორც საერთაშორისო სადამკვირვებლო



ორგანიზაციებმა, ისე სახელმწიფოებმა და ყველა თანხმდება და იზიარებს მათ მიერ გამოთქმელ შეშფოთებას.

**„ინტერპრესნიუსი“**

## დაიჯესტი

# გოკა გაბაშვილი-ხელისუფლება მოსახლეობას ოპოზიციის მსგავსად, მასხრად არ იგდებს

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, გოკა გაბაშვილის შეფასებით, ხელისუფლება მოსახლეობას ოპოზიციის მსგავსად, მასხრად არ იგდებს და თვალს უსწორებს.

როგორც გაბაშვილმა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას გამართული დებატებისას განაცხადა, მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯების ლომის წილი სოციალურ ხარჯებზე მოდის.

მისი თქმით, მომავალ წელს იმდენი იქნება სოციალური ხარჯები, რამდენიც ადრე მთლიანი ბიუჯეტი იყო ხოლმე.

გაბაშვილის შეფასებით, ბიუჯეტის ასეთი დაგეგმვა შეიძლება ოპოზიციისთვის არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ მათ პენსიონერები არ დაეთანხმებიან, რადგან მათთვის დაზღვევა და პენსიის 100 დოლარამდე გაზრდა მნიშვნელოვანია. გაბაშვილის განცხადებითვე, ქვეყანას სოციალური ხარჯები აუცი-



ლებლად უნდა ჰქონდეს, სანამ ქვეყანაში უმუშევრობაა, მაგრამ ზომიერად.

„ჩვენ არ ვისვრით ცარიელ სიტყვებს, არ ვპოპულისტობთ“,_განაცხადა გაბაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლება სოციალური ხარჯების იმდენად გაზრდის პირობას არ იძლევა, რომ სხვა ქვეყნებივით ვალებში ჩავარდეს და რეგიონში პრობლემა გახდეს.

მისივე თქმით, ხელისუფლება მოსახლეობიდან წამოსული იდეებით ხელმძღვანელობს და ოპოზიციის მსგავსად, მასხრად კი არ იგდებს, არამედ თვალს უსწორებს.

**„ინტერპრესნიუსი“**

# გიორგი ბარამიძე: საქართველო ნატოს ასპირანტი ქვეყანა გახდა



საქართველო ნატოს ასპირანტი ქვეყანა ხდება. ამის შესახებ ვიცე-პრემიერ მინისტრმა გიორგი ბარამიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ნატოს მინისტერიალზე მიღებულ დოკუმენტში პირველად არის საქართველო მოხსენიებული ნატოს ასპირანტ ქვეყნად, ანუ იმ ქვეყნად, რომელიც ნატოში გაწევრიანების გზაზე დგას.

როგორც ბარამიძემ განმარტა, ეს არის სპეციფიკური ტერმინი. ბარამიძის განცხადებით, საქართველო მოხსენიებულია იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც აქვთ მიღებული MAP. ვიცე-პრემიერის განმარტებით, ეს ქვეყნებია - ბოსნია ჰერცოგოვინა, მაკედონია და მონტენეგრო.

„ანუ საქართველო დაჯგუფდა იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც მანამდე იყვნენ აღიარებული როგორც ნატო-ში გაწევრიანების გზაზე მყოფი ქვეყნები, რადგან მათ ჰქონდათ მიღებული MAP. ეს ნიშნავს პრაქტიკულად ტოლობის ნიშანს. ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების ინსტრუმენტები, ფაქტიურად უტოლდება იმ ინსტრუმენტებს, რომელიც აქვთ ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს“, - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

**„ინტერპრესნიუსი**

# ამომრჩეველთა ერთიანი სია ცესკოს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს




ამომრჩეველთა ერთიანი სია ცესკოს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს. საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიხედვით, ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის; მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ინტერნეტში -ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის.

საარჩევნო სიების საჯაროდ გამოქვეყნება ვენეციის კომისიის და ეუთოს „ოდირის“ ერთ-ერთი რეკომენდაციაა.

ვენეციის კომისია საქართველოს რეკომენდაციას აძლევს, რომ საარჩევნო სიების გამოქვეყნება მოხდეს საზოგადოებისათვის ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვენეციის კომისია საბოლოო დასკვნას 17 დეკემბერს გამოაქვეყნებს.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# ვიხილავთ ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს

## ბიუჯეტის პრიორიტეტი სოციალური სფეროა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა მოსახლეობისათვის არა მარტო დახმარებების ზრდა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ ზრუნვა მათი კეთილდღეობის ასამაღლებლად და უკეთესი სოციალური გარემოს შესაქმნელად. ამ მხრივ ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდის ტენდენცია აშკარაა. გამგეობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება თანდათან მატულობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთი პრიორიტეტი სოციალური სფეროა, რომელიც წინა წელთან შედარებით 60 000 ლარით გაიზარდა და შეადგენს 502.4 ათას ლარს, რა თქმა უნდა, ეს არაა საკმარისი და მით უმეტეს, იდეალური, მაგრამ სურვილების შესრულებას ხომ რეალური შესაძლებლობები განსაზღვრავენ. წარმოდგენილ ბიუჯეტს თუ დააკვირდებით, მასში ვერ იპოვნით ნაკლებად მნიშვნელოვან დარგს, საიდანაც შეიძლებოდეს სოციალურ სფეროზე ფინანსების გადმოტანა.

მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, წარმოადგინოს თავისი ინტერესები და მოთხოვნები, რომლის გათვალისწინების საშუალებასაც იძლევა საბიუჯეტო პარამეტრების გასაზრდელად არსებული რეზერვები. რაც უფრო მეტი იქნება მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის საქმიანობაში, მით უფრო წარმატებული და სასურველი იქნება საზოგადოებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი.

**დალი გერგაია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

## მაქსიმალურად უნდა იქნეს განხორციელებული



ბოლო ორი წელია, მომავალი საბიუჯეტო წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიეწოდება საკრებულოს განსახილველად. ამასთანავე, დროთა განმავლობაში იგი უფრო სრულყოფილი ხდება და სხვადასხვა დონის ადგილობრივ, თუ სახელმწიფო სტრუქტურებთანაა შეთანხმებული, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად. ბიუჯეტის პროექტში უფრო მეტადაა გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკისთვის პრიორიტეტული მიმართულებები, ვიდრე გასულ წლებში, რისთვისაც როგორც გამგეობას, ასევე საკრებულოს წინასწარ დიდი მოცულობის მონაცემები ჰქონდა შეგროვებული. ჩვენი ფრაქციის წევრებს გამგეობის რწმუნებულებთან ერთად ჩამოყალიბებული და წარმოდგენილი ჰქონდათ თითოეულ სოფელსა თუ ქალაქში განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა დიდი ნაწილი ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

რეზერვები მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრების გასაზრდელად არსებობს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად უფრო მეტი თანხების გამოყოფაა აუცილებელი. თუ მიმდინარე წელს მსგავსი პროექტებისთვის 2797,2 ათასი ლარია გათვალისწინებული, 2012 წლის ბიუჯეტის შემოთავაზებულ ვარიანტში, მისი მოცულობა მხოლოდ 1242,0 ათასი ლარია, ანუ შემცირებულია 1555,2 ათასი ლარით.

აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტი იდეალური არ არის, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა მის დასახვეწად და ის ღონისძიებები, რომლებიც თანხების არასაკმარისობის გამო ბიუჯეტში ვერ იქნა გათვალისწინებული, მაქსიმალურად უნდა იქნეს განხორციელებული.

**თემურ გულუა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.**

## დაფინანსება მუდმივად მზარდი უნდა იყოს

გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი და მისი თანდართული დოკუმენტაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება გასულ წლებში წარმოდგენილი მასალებისგან. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მხარჯავი სუბიექტის მიერ გასაწევი ხარჯები დეტალურად არის მოწოდებული, შეიძლება ამით სათანადო ანალიზი გაკეთდეს და დადებითი და უარყოფითი მხარეებიც გამოიყოს. ანუ, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას უპირატესობა რა სახის ღონისძიებებს დაეთმო.



ყურადღებას გავამახვილებ მუნიციპალიტეტში ეკონომიკური მიმართულებით განსახორციელებელი პროგრამების კუთხით: 2012 წლის ბიუჯეტის პროექტში, ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ეკონომიკურ საქმიანობაზე, გარემოს დაცვასა და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე მიმართული თანხები 2011 წლის საწყის მაჩვენებლებთან შედარებით 246,4 ათასით ნაკლებია. მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობის მუხლის დაფინანსება შემცირებულია 279,0 ათასი ლარით, გარემოს დაცვის მუხლის დაფინანსება გაზრდილია 152,1 ათასი ლარით, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუხლის დაფინანსება 119,5 ათასი ლარითაა შემცირებული.

ბუნებრივია, სხვადასხვა წელს, ერთიდაიგივე საბიუჯეტო მუხლის დაფინანსების მოცულობა ერთნაირი ვერ იქნება, ვინაიდან მასში კონკრეტული ღონისძიებებია გათვალისწინებული და მათი შესრულებისთვის საჭირო თანხები სხვადასხვაა, მაგრამ აქ საუბარია პრინციპზე, რომ პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება, შესაძლებლობის შესაბამისად, მუდმივად მზარდი იყოს.

მიმდინარეობს ბიუჯეტის დეტალური განხილვა და კონკრეტული წინადადებებიც დროთა განმავლობაში დამუშავდება. მოსახლეობისთვის კი დამატებით იმედის მისაცემად შეიძლება ვთქვათ, რომ შესაბამისი რესურსები არსებობს და მომავალი წლის განმავლობაში ბიუჯეტის პარამეტრები მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რასაც თვით მოსახლეობა შეარჩევს—ეს იქნება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ თუ სხვა ეკონომიკური პროგრამების ფარგლებში შემუშავებული წინადადებები, რაც საკრებულოს მაჟორიტარი წევრებისა და გამგეობის რწმუნებულების აქტიური თანამშრომლობით უნდა იქნეს მიღწეული.

**გოჩა ქაჯაია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

## მოსახლეობის ინტერესებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობის მიერ განსახილველად წარედგინა 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რის შემდგომაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში დაიწყო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ წლის ბიუჯეტი მოიცავს მუნიციპალიტეტის აუცილებელ ღონისძიებებს და თვალნათლივ წარმოაჩენს ყველა ძირითად პრიორიტეტს, ხოლო, ძირითადი მიმართულებები ყოველთვის განისაზღვრება მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობით. ამ პრინციპების გათვალისწინებით გვეძლევა საშუალება, მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. ამიტომ ბიუჯეტის დამტკიცებამდე, დადგენილების პროექტში აუცილებლად უნდა ავსახოთ ყველა ის აქტუალური საკითხი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოებას ქალაქისა თუ სოფლების აღმშენებლობისათვის მიზანმიმართულად მიაჩნია.

თითოეული ჩვენთაგანის მიერ დამტკიცებულმა პროექტებმა, თუ ჩვენს მიერ გახარჯულმა თითოეულმა თეთრმა, საზოგადოებას უნდა აგრძნობინოს, რომ მისი აზრი და მოთხოვნა გათვალისწინებულია, რომ ხელისუფლებისათვის პრიორიტეტს ხალხის აზრი წარმოადგენს, ამ მიდგომით კიდევ უფრო გაიზრდება ურთიერთნდობა და თანამშრომლობის ხარისხი. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეული წევრისა თუ თითოეული საჯარო მოხელის პასუხისმგებლობას და საქმისადმი დამოკიდებულებას, პროფესიონალიზმს, რაც თავიდან აგვაცილებს არასასურველ შედეგებს.



უკანასკნელ წლებში მზარდი საბიუჯეტო შემოსავლების საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელდა მრავალი აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიება. პირველ რიგში პრიორიტეტად დასახულიქნა მოშლილი ინფრასტრუქტურის აღდგენა და ობიექტების რეაბილიტაცია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება განსაკუთრებით 2004 წლიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული განვლილი 8 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და განხორციელდა ძვირადღირებული და მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: შიდა სახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა; მუნიციპალიტეტში ქალაქისა და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ქალაქისა და ყველა სოფელში ბუნებრივი და ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონების მშენებლობა, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გარეგანათებების სისტემის კეთილმოწყობა, კულტურისა და განათლების ობიექტების რეაბილიტაცია და სხვა მრავალი აქტუალური საკითხი. ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის მძიმე სოციალური ფონის გაუმჯობესებას, ეკონომიკურად მძიმე პირობებში მყოფი მოქალაქეების დახმარებასა და ხელშეწყობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, შემუშავებულია სოციალური პროგრამები, სადაც განსაზღვრულია კატეგორიები, რომელთა შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს ერთჯერადი დახმარებები ეძლევა, ასევე უზრუნველყოფილია გადაუდებელი ოპერაციების ნაწილობრივი დაფინანსება. 2004 წლიდან სოციალური პაკეტებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯული თანხა წლების მიხედვით მზარდ ხასიათს ატარებს. განხორციელებულმა პროექტებმა განსაკუთრებული ეფექტები და მომხიბვლელობა შესძინა ჩვენს მუნიციპალიტეტს.

გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული სამუშაოებისა, ასევე მინდა აღვნიშნო სახელმწიფოს ბიუჯეტის სახსრებით წლების განმავლობაში არსებული პრობლემის მოგვარება—მდინარე ჭანისწყალზე ხიდის მშენებლობა, რომლის საშუალებითაც ორი მუნიციპალიტეტი დაუკავშირდა ერთმანეთს და რაც მთავარია, მოსახლეობას საშუალება მიეცა ისარგებლოს უმოკლესი გზით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სკოლების, წყალმომარაგების სისტემის, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. ასევე მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს თითოეული სოფლისთვის ყველაზე აქტუალური პროგრამების გადაჭრას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰპოვა რეგიონში სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით საპრეზიდენტო პროგრამის—„სასოფლო—სამეურნეო ტექნიკა—ყველა სოფელს“ ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის ტრაქტორების გადმოცემამ, რამაც უკანასკნელ პერიოდში დიდი ოდენობით ამორტიზებული სასოფლო—სამეურნეო ტექნიკის შევსების საშუალება წარმოქმნა. განხორციელებული სამუშაოები აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

დღევანდელ ხობის მუნიციპალიტეტს ვერაფრით შევადარებ იმ ჩაბნელებულ, დაუძლურებულ რაიონს, როგორც 8 წლის წინ გვახსოვს. 2003 წლის შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტი სულ უფრო უკეთეს იერ—სახეს იძენს. ჩვენი თითოეული მოქალაქის მოთხოვნიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა დავიწყოთ ზრუნვა ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაზე და შედეგად მივიღოთ განათებული, უსაფრთხო და დასუფთავებული ქალაქი და სოფლები, დაიგოს ყველა ცენტრალური მისასვლელი გზა და განვითარდეს ინფრასტრუქტურა მეტი ინვესტიციების მოსაზიდად, რაც აუცილებლად მეტ დოვლათს მოიტანს. ამისათვის აუცილებელია, ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დროს თითოეული მოქალაქის ინტერესები და მოსაზრებები გავითვალისწინოთ.

მუნიციპალიტეტში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ადამიანებს ჰქონდეთ უკეთესი მომავალი, ჩვენ გვაქვს მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ ერთიანი ძალისხმევით. გვაქვს ყველა პირობა იმისა, რომ წარმატებული გავხადოთ ხობის მუნიციპალიტეტი და ამით ხელი შევუწყოთ ქვეყნის წინსვლასა და აღმშენებლობას.

***ლაშა ცატავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.***

ღვაწლმოსილნი

*„ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოსიც, ე.ი. მთელის მისის ქვეყნის, მისის სამშობლოსი“–ასე აფასებდა ქალის როლს დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი.*

*მრავალი თაობის აღმზრდელი, საოცრად თბილი, ალერსიანი, ყველას მიმართ ყურადღებიანი და ობიექტური, მომთხოვნი და პრინციპული, ფუტკარივით მშრომელი, ასე ამბობენ მასზე მისი აღზრდილები. ის ერთი იმ ქალბატონთაგანია, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალმხრივი სიკეთე და ღირსება შემატა თავის კუთხეს, საზოგადოებას, ხალხს. სწორედ რომ მან ჩაუნერგა თაობებს მშობლიური ენის სიყვარული, ისინი სიკეთითა და წიგნის სიყვარულით დამოძღვრა.*

*ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე გურიფულში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა, სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქ. ფოთის მე-6 საშუალო სკოლაში განაგრძო. უმაღლესი განათლება ქ. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო, სპეციალობით–დაწყებითი კლასის მასწავლებელი. შემდეგ მშობლიურ სოფელში მუშაობდა მასწავლებლად. 1979 წლიდან დღემდე ქ. ხობის №2 საჯარო სკოლაში მუშაობს.*



*1986–87 სასწავლო წელს რაიონის წლის საუკეთესო მასწავლებლად იქნა დასახელებული, მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად მინიჭებული აქვს უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია.*

*თუ როგორ დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რას ნიშნავს მისთვის მასწავლებლობა და თავად, როგორ იხსენებს თავის მასწავლებლებს, ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ მას სკოლაში ვეწვიე.*

# „მასწავლებლობა ჩემთვის ყველაფერია“

***თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა როგორ დაიწყო?***

–ჩვეულებრივად, როგორც ყველა ახალბედა მასწავლებელი, მუშაობა მომიწია ჩემი მშობლური სოფლის სკოლაში, ყოფილ მასწავლებლებთან, რაც სასიამოვნო იყო და ამავე დროს ძალიან საპასუხისმგებლოც.

***რას ნიშნავს თქვენთვის მასწავლებლობა?***

–მასწავლებლობა ჩემთვის ყველაფერია, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი პროფესია და აღსაზრდელები. ეს საქმიანობა ისეთი პროცესია, სადაც მავიწყდება ყოველგვარი ცხოვრებისეული პრობლემა და მთელი არსებით ვიმყოფები ბავშვთა სამყაროში.

***სკოლაში მუშაობის რომელ პერიოდს გამოყოფდით?***

–სკოლაში მუშაობის განსაკუთრებულ პერიოდს ვერ გამოვყოფ, რადგანაც სკოლა ჩემთვის დასაწყისიდან დღემდე ჩემი ცხოვრების წესი და აზრია.

***ოჯახი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბუხარს, რაც დაკავშირებულია სითბოსა და სინათლესთან, რომელსაც ბუხარი გადმოსცემს. გაგვაცანით თქვენი ოჯახი და იქნებ ისიც გვითხრათ, რა დოზით გადმოდის სითბო და სინათლე მისგან?***

–ოჯახი რა თქმა უნდა, დაკავშირებულია სითბოსა და სინათლესთან. ოჯახური სითბო ყველაზე ამაღლებული ადამიანური გამოვლინებაა, რომელსაც მოჰყვება სინათლე, სიყვარული, სულიერი სიმშვიდე და სიამტკბილობა. ღვთის მადლით მყავს მრავალრიცხოვანი ოჯახი. ჩემი მეუღლე–რევაზ კორტავა პროფესიით ფილოლოგია, ოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობდა სკოლის დირექტორად, ამჟამად პენსიონერია. მყავს ოთხი შვილი და ორი შვილიშვილი: რეზიკო კორტავა და ნინო ქირია. შვილები უმაღლესი განათლებითაა. უფროსები ეკონომისტები არიან, ხოლო უმცროსი–შორენა სოციალურ მეცნიერებათა დოქტორია და ლექციებს კითხულობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გვაქვს ტრადიციული ოჯახი, სადაც ურთიერთგაგება და თანადგომაა, რაც ჩემთვის უსაზღვრო ბედნიერებაა.

***როგორ გაიხსენებდით თქვენს მასწავლებლებს?***

–სიტყვა „მასწავლებელი“ ჩემთვის ყოველთვის იყო უძვირფასესი და უფაქიზესი მცნება. ყველა მასწავლებელი მიყვარდა, მაგრამ მათ შორის მაინც გამოვყოფდი განსაკუთრებით თამარ კანკავას, ღუღუნი წითლიძეს, ბეგლარ ჭითანავას, მარიამ კორტავას, თამარ გაბუნიასა და მედეა ქავთარაძეს.

***რა განსხვავებაა დღევანდელ სკოლასა და მაშინდელ სკოლას შორის?***

–მაშინდელი სკოლა ჩემთვის ტკბილად მოსაგონარი წარსულია, დღევანდელი სკოლა კი თავისი ეროვნული რეფორმებითა და მიზანმიმართული სიახლეებით, წინგადადგმული ნაბიჯი.

***წიგნი თუ კომპიუტერი?***

–ორივე საჭიროა და აუცილებელი. წიგნს ვერაფერი შეცვლის, მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში, კომპიუტერის საშუალებით უზარმაზარ ცოდნასა და ინფორმაციას ვღებულობთ. ამიტომ, თანამედროვე ადამიანისთვის ერთიც და მეორეც ერთნაირად მისაღები უნდა იყოს.

***გამორჩეული კლასი და მოსწავლე, რომელმაც თავი დღემდე დაგამახსოვრათ?***

–ჩემი პედაგოგიური მუშაობის პერიოდში საკმაოდ ბევრი გამორჩეული კლასი და მოსწავლე მყავდა, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ვეცდები ჩამოვთვალო ზოგიერთი მათგანი: მამუკა ლომაია, დღეს უკვე დეკანოზი–მამა ილია, რომელიც ამჟამად ჩემი სულიერი მოძღვარია. ბესიკ ხასია, ნუკრი წოწონავა, დაჩი ბერაია, ჯილდა ჯობავა, ბაჩანა ჯობავა, ირმა ხურცილავა, ზურიკო ჭანტურია, თეა სალაყაია, ეკა ლომსაძე, დაჩი ხურცილავა, ვალერ და თემურ ფიფიები, დათო ქაჯაია, თამარ ჭაჭია, ნანა ბასილაია, ნინო შელია, კოკა აკობია, ბესო ვეკუა, თამუნა ალექსანდრია, სოფო ბერაია, ბაქარ შონია, დათო ჭანტურია, სოფო დათუაშვილი, თეონა გერგაია, ია ნადარაია, მაია კვარაცხელია და სხვები. ხოლო უახლოესი გამოშვებებიდან მინდა გამოვყო ჩვენი სკოლის 2009-2010 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებულები. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, როგორც მათი პირველი მასწავლებელი, დამაჯილდოვა საპატიო სიგელით. შეიძლება ითქვას, რომ ამ კლასში ფაქტიურად არც იყო საშუალო მოსწრების მოსწავლე, ყველანი ერთმანეთზე უკეთესი და რჩეულები იყვნენ, განსაკუთრებით ნიკა სერგია და შოთა თუთბერიძე, რომლებიც გახლდათ ჩვენი სკოლის ნამდვილი სიამაყენი, ხალასი ნიჭით, მონდომებითა და თითქმის ყველა სფეროში სიღრმისეული ცოდნით დაჯილდოებულები.

***და ბოლოს, რას უსურვებდით თქვენს მოსწავლეებს?***

–ვუსურვებდი უყვარდეთ წიგნი, იყვნენ შრომისმოყვარენი, სამართლიანნი, იარონ პატიოსნების გზით, ჰქონდეთ სიკეთის, მშვენიერებისა და კეთილშობილებისადმი დაუცხრომელი სწრაფვა, რათა ჭეშმარიტი მამულიშვილები გახდნენ.

**ქალბატონო მზისადარ, გმადლობთ გულთბილი დახვედრისა და საინტერესო ინტერვიუსათვის.**

***ნინო გერგაია***

# „შევძელი, ცხოვრებაში ჩემი ადგილი მეპოვნა“



**ბავშვობიდან მსმენია მასზე, უძლიერესი ფიზიკოსიაო. მართალია, ფიზიკურად არ ვიცნობდი, მაგრამ ნიჭიერი პედაგოგისადმი დიდი სიმპათიით ვიყავი გამსჭვალული.**

**როდესაც დურუ კობახიძე გავიცანი, მივხვდი, რომ მართლაც გამორჩეული სპეციალისტი გახლდათ–გონიერი, საგნის ღრმა მცოდნე, ნაკითხი, კარგი იუმორის მქონე... ისიც გავიგია, რომ მას და მის კოლეგებს–მათემატიკოსებს კარლო ბუკიას, კოტე ფილიპიას და მიშა ბასილაიას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე იწვევდნენ. ბატონ დურუს ასეთი მიწვევა არაერთხელ ჰქონია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტიდან. მასზე ამბობდნენ, ნამდვილი ერუდიტიაო.**

**ბატონმა დურუმ 52 წელი იღვაწა პირველი მაისის საშუალო სკოლაში. იყო განათლების რაიონული გაერთიანების ფიზიკის საგნობრივი წრისა და სექციის ხელმძღვანელი. მინიჭებული აქვს მეთოდისტი მასწავლებლის წოდება. უფრო მეტიც, მისი მოღვაწეობა „საპატიო ნიშნის“ ორდენით შეფასდა.**

**ბატონი დურუ წლებია დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. მისი ცხოვრება 83 წელს ითვლის. მჯერა, შინ ყოფნა, უფრო ზუსტად, ნაჩვევ და საყვარელ საქმესთან მოწყვეტა ძალიან გაუჭირდებოდა, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და...**

**ბუნებრივია, სკოლა მისთვის ყოველთვის იყო და იქნება ყველაზე აქტუალური და მახლობელი სფერო, მუდმივი ყურადღების ობიექტი. მჯერა, მას დღესაც თან სდევს სწავლა-განათლებაზე ფიქრი. მისი პედაგოგიური თვალსაზრისი ამჟერადაც აქტუალურია.**

**აი, კითხვები, რითაც მას მივმართე:**

***ვინ არის დურუ კობახიძე? გაეცანით მკითხველს.***

–სოფელ პირველ მაისში 1927 წელს დავიბადე. მართალია, კობახიძეთა გვარის ერთი ნაწილი თავადაზნაურთა შტოს განეკუთვნებოდა, მეორე კი გლეხების, მაგრამ ჩემი მშობლები მეორე შტოს წარმომადგენლები იყვნენ. მეამაყება, რომ ვარ ტარიელ კობახიძისა და ოლია გუგუნავას ერთადერთი შვილი. ისინი პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ.

სკოლის მოსწავლე ვიყავი მამა რომ გარდამეცვალა, რაც ბუნებრივია, ჩემს ცხოვრებას დაღად დაეტყო, თუმცა დედაჩემის დახმარებით შევძელი ცხოვრებაში ჩემი ადგილი მეპოვნა.

***ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი?***

–სკოლა ხობში დავამთავრე. ჩემი პირველი მასწავლებელი ნელი გუგუნავა გახლდათ (ნათელი დაადგეს მის სახელს!). ის ძალზე სასიამოვნო პიროვნება და საუკეთესო მასწავლებელი იყო. პედაგოგისთვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებების მქონე. მახსოვს, მეტყოდა და მირჩევდა, ცხოვრების მეგზურად მასწავლებლობა ამერჩია... მე მართლაც მასწავლებელი გავხდი.

***ფიზიკოსი ბრძანდებით, გქონდათ სხვა იდეალი?***

–პედაგოგობა ჩემი გატაცება და იდეალი არასოდეს ყოფილა. მსურდა, ინჟინერი გამხდარვიყავი. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც წარჩინებით ვსწავლობდი. მამით ობოლს გამიძნელდა დედაქალაქში ცხოვრება და მესამე კურსიდან ინსტიტუტიდან წამოვედი. შემთხვევით არაფერი ხდება, სწავლა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე. ასე, რომ ფიზიკოსი გავხდი. მუშაობა პირველი მაისის საშუალო სკოლაში დავიწყე. იქ, ჩემთან ერთად, გამორჩეული პედაგოგები მოღვაწეობდნენ, მათთან და ბავშვებთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. ინსტიტუტში დიდი პრაქტიკა გავიარე, შესანიშნავი ლექტორები მასწავლიდნენ...

***თქვენი ხედვა ცოდნაზე, რას იტყვით დღევანდელ განათლების სისტემაზე?***

–ჩემს დროს სკოლებში სწავლება, ჩვეულებრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტებით მიმდინარეობდა. ძირფესვიანად ისწავლებოდა ყველა მეცნიერება, წიგნები ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყო, შეფასების კრიტერიუმებიც სულ სხვაგვარი. ხელისუფლებაში ახალგაზრდა რევოლუციური მთავრობის მოსვლის შემდეგ, ყველა დარგის გადაფასება დაიწყო. უდიდესი გარდატეხა მოხდა განათლების სისტემაში. ცვლილებები მისაღები და მისასალმებელია. სიახლეთა დანერგვა ყოველთვის და ყველგან სასურველია თუ მას კარგი შედეგები მოსდევს. რაც პენსიაზე გავედი და რაიმე სიახლეზე ტელევიზიაში მოვისმენ ან გაზეთებში წავიკითხავ, ჩემს ფილტვებში გაივლის. სიახლეები მოსაწონია, როგორც ფიზიკოსს, ერთი რამ მაწუხებს, რომ ფიზიკის სწავლება შესუსტებულია. ვემხრობი ეროვნულ გამოცდებს, მოხარული ვარ კომპიუტერული სისტემის შემოღებით. ინტერნეტით ყველას შეუძლია ინფორმაციის მიღება, მოსწავლეები ღრმა ცოდნას იძენენ. მივესალმები ინგლისური ენის პოპულარიზაციას. ნათქვამია–„ადამიანმა რამდენი ენა იცის, იმდენი კაციაო...“ მახარებს, რომ ხდება პედაგოგების ხელფასების გადიდება, მათი სერთიფიცირება, რომ მასწავლებლებს აუმაღლდათ ავტორიტეტი და პრიორიტეტი. გამოჩნდა, რომ პედაგოგი უნდა იყოს სამაგალითო შესაძლებლობებით და უნარით გამორჩეული.

***თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ რამე.***

–ჩემი მეუღლე თამარ ხუხია გახლავთ. ისიც პედაგოგია, ჩვენ ერთად, ერთ სკოლაში ვმოღვაწეობდით, ის არაჩვეულებრივი ადამიანია. საუკეთესო დედა და მეუღლე. დაწყებით კლასში ასწავლის.

ჩვენ ორი შვილი აღვზარდეთ. ფრიდონი და თენგიზი. ისინი სპეციალობით ინჟინრები არიან, განათლებულები და კარგი ახალგაზრდები. ამჟამად ჩვენი შვილები ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობენ.

***ვინ იყო ნოე დაფნარელი და რა როლი ეკავა თქვენს ცხოვრებაში?***

–ნოე კობახიძე (დაფნარელი) ცნობილი პედაგოგი და პოეტი პირველმაისელი იყო. მან და თავისმა მეუღლემ ქალბატონმა მარიამმა დიდხანს და ჩინებულად იღვაწეს პედაგოგებად. მეამაყება, რომ ის ჩემი ბიძაშვილი იყო. ფიზიკურად და სულიერად ამაღლებული ადამიანი. როცა მამა გარდამეცვალა, ის ჩემზე ზრუნავდა, მიცავდა, მეხმარებოდა, მამხნევებდა... მისგან ბევრი რამ კარგი ვისწავლე. ის ნამდვილი მოძღვარი გახლდათ. ვწუხვარ, რომ დღეს ჩემს გვერდით აღარ არის.

***თქვენი უპირველესი სურვილი?***

–ჩემი უპირველესი სურვილი და მიზანია, მომავალი თაობა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს დონეზე აღიზარდოს.

ჩემს კოლეგებს მოსწავლე–ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში წარმატებებს ვუსურვებ.

ჩემს საქართველოს –გამთლიანებასა და გაძლიერებას.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

# წლის გასაყართან

## „ფუნქციონირებისთვის ცენტრს ყველა საშუალება გააჩნია“



**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ქალბატონი შორენა საბახტარაშვილი.**

***ქალბატონო შორენა, როგორი იყო მიმდინარე წელი თქვენი ორგანიზაციისთვის, განხორციელდა თუ არა რეფორმები და თუ კი, ძირითადად რა სახის?***

–მოსახლეობისათვის მაქსიმალური სიკეთის მოტანა მხოლოდ პროფილაქტიკურ მედიცინაზე აქცენტის გადატანითაა შესაძლებელი. ცენტრის მთავარი ამოცანაა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა და მათთან ბრძოლა. ეს სფერო დღესაც რჩება პრიორიტეტად. ცენტრის ფუნქციაა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ–ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კომპანიების, სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და წარმართვა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის საკითხების, დაავადებათა რეზერვუარებისა და გადამტანის კონტროლისათვის, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება და მიწოდება.

2011 სამუშაო წელი ჩვენი ორგანიზაციისათვის შრომატევადი, საინტერესო და წარმატებული იყო. მთავარი რეფორმა, რაც განხორციელდა, ეს იყო „დზეის“ დანერგვა. „დზეი“ არის დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა, რომელიც აძლიერებს და ხელს უწყობს ადამიანისა და ცხოველის დაავადებების მონიტორინგს და პრევენციას, მართავს დაავადების შემთხვევას, შემთხვევას პლუს დაავადებისთვის შესაფერის კვლევას და აგრეგირებულ მონაცემებს, აერთიანებს მონაცემებს ლაბორატორიული ნიმუშების, ტესტებისა და შედეგების შესახებ. „დზეის“ პრინციპით მუშაობისათვის ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებული გვაქვს კომპიუტერული ტექნიკა, რომლითაც ყველა სამუშაო ელექტრონული ვერსიით მიმდინარეობს.

***კიდევ რა სიახლეები გაქვთ?***

–სიახლე არის პარაზიტოლოგიური ლაბორატორიის მუშაობაში, რომლისთვისაც ჯანდაცვის სამინისტროდან ელექტონული მიკროსკოპი მივიღეთ, რომლითაც ტარდება სათანადო გამოკვლევები მალარიის დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკისათვის. ასევე წარმოებს პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური მომსახურების ბაზა დამაკმაყოფილებელია. ცენტრი უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარით, საოფისე ავეჯით. ჩვენს ბალანსზე ირიცხება ერთი ავტომანქანა, რომელიც გამართულად მუშაობს, ცენტრში გვაქვს 3 ერთეული კომპიუტერი, საბუღალტრო–საფინანსო საქმიანობა მთლიანად ელექტრონული ვერსიით მიმდინარეობს. ცენტრი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური სემინარები, ტრენინგები, ატესტაციები და საქმიანობის შესახებ შესაბამის ლიცენზიას ფლობენ. ამჟამად ცენტრი დროებით ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში ფუნქციონირებს. განვიცდით ფართის სიმცირეს, სამუშაო ოთახები საჭიროებს მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას.

***როგორია მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ანუ ხელმისაწვდომია თუ არა მომსახურება საზოგადოების ყველა წევრისთვის?***

–ჯანდაცვის ცენტრი არის სრული საბიუჯეტო ორგანიზაცია. ჩვენთან ყველა სახის სამედიცინო მომსახურება უფასოა, ამიტომ ჩვენს მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურება საზოგადოების თითოეული წევრისთვის სრულად ხელმისაწვდომია.

ცენტრი ფუნქციონირებს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში: ვაწარმოებთ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს, ხელს ვუწყობთ აღნიშნულ დაწესებულებაში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

ვაწარმოებთ პროფილაქტიკურ აცრებს, კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ასაცრელი მედიკამენტების შენახვას და გადანაწილებას, ეპიდემიოლოგიური საშიშროებისას ჯანდაცვის პირველად რგოლებზე პრევენციული და ეპიდემიური ღონისძიებების გატარებას, პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ატარებს ყოველთვიურ მონიტორინგს ჯანდაცვის პირველად რგოლებზე პროფილაქტიკური აცრების კალენდრით განსაზღვრულ ჩატარებულ იმუნიზაციის ხარისხზე და მოცულობაზე. ყოველი თვის ბოლოს ვაკეთებთ თითოეული ჯანდაცვის პირველადი რგოლიდან შემოსული შეტყობინებისა და მონაცემების ანალიზს და ვაქცინაციის მოცვის შეფასებას. ცენტრი უზრუნველყოფილია ყველა სახის ასაცრელი მასალების 3 თვის მარაგით. ასაცრელი მასალების შემოტანას და გადანაწილებას ჯანდაცვის პირველად რგოლებზე აწარმოებს ცენტრის ლოჯისტიკის ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი. ჯანდაცვის ცენტრი და ჯანდაცვის პირველადი რგოლები უზრუნველყოფილია სპეციალური მაცივრებით, ცივი ყუთებით, სადაც შესაბამის ტემპერატურაზე ასაცრელი მედიკამენტები ინახება.

საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ტარდება პრევენციული ღონისძიებები ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით. წარმობს საუბრები ალკოჰოლის და თამბაქოს მავნეობის, პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ცხოვრების და სპორტის თემებზე, ასევე პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობის და აუცილებლობის, შიდსის, „ა“, „ბ“, და „ც“ ჰეპატიტების, გრიპის, განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების–ჯილეხის, ცოფის, დიფტერიის და ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ. აღნიშნულ დაავადებებზე ცენტრის სპეციალისტების მიერ სისტემატურად ქვეყნდება სტატიები და ინტერვიუები გაზეთ „ხობის მოამბეს“ ფურცლებზე.

ცენტრის ენტომოლოგიური განყოფილების მიერ ტარდება საბონიფიკაციო სამუშაოები მალარიის პროფილაქტიკის მიზნით. მათ მიერ ყოველი წლის ცხელ პერიოდში წარმოებს წყალსაცავების გაწმენდა მცენარეებისაგან, მცირე წყალსატევების დაშრობა, გამბუზიის გავრცელება, წყალსატევების პასპორტიზაცია კოღოს რაოდენობის შემცირების მიზნით, ასევე ქალაქის ცენტრში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სარდაფების ქიმიური საშუალებებით დამუშავება.

რაიონული საავადმყოფოს ბაზაზე ფუნქციონირებს ანტირაბიული კაბინეტი, რომელსაც ემსახურება ექიმი რაბიოლოგი და მედდა. ანტირაბიული ვაქცინა შემოაქვს რაისაავადმყოფოს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი პროგრამის შიგნით ანხორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის საფუძველზე და ახდენს შესაბამისი სამსახურების დროულ ინფორმირებას. ანტირაბული კაბინეტის ფუნქციონირების ხელშეწყობას, პერსონალის ინსტრუქტაჟს, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტების წარმოებას, სასწრაფო შეტყობინების არსებული წესების დაცვას, შესაბამისად ცენტრი აწარმოებს ცოფზე საეჭვო ცხოველების მიერ დაკბენილ–დაკაწრული და დადორბლილი შემთხვევების შესწავლას. თითოეულ შემთხვევაზე კეთდება რეაგირება. ტარდება მონიტორინგი, შეტყობინებების ურთიერთგაცვლას აწარმოებს მუნიციპალიტეტის ვეტსამსახურთან.

***როგორ გესახებათ მომავალი?***

–ჩვენი სამსახურის მოქმედების არეალი და ჩასატარებელი სამუშაოები მრავალმხრივია. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ, რადგანაც ცენტრს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყველა საშუალება გააჩნია.

ვსარგებლობ შემთხვევით და მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებ ჯანმრთელოაბას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

## „საინტერესო და პერსპექტიული მომავალი გვექნება“



ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის „კულტურის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და წესდების შესაბამისად ახორციელებს.



კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში შედის თვით კულტურის ცენტრი, რაიონული კულტურის სახლი, საჯარო ბიბლიოთეკა, 2 სასოფლო კულტურის სახლი, 3 მუზეუმი (მხარეთმცოდნეობის, ალ. მირცხულავას, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“), 7 სასოფლო კლუბი, 12 სასოფლო ბიბლიოთეკა, სულ 82 საშტატო ერთეული.

კულტურის ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსახლეობის კულტურის დონისა და ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთა კულტურული და შემეცნებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თვითშემოქმედების განვითარებას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის შენარჩუნება-გამოვლენა და მოქალაქეთა დასვენება-გართობის ორგანიზაციას.

მრავალმხრივი იყო მიმდინარე წელს ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხა. კულტურის ცენტრმა დღემდე სხვადასხვა ღონისძიებები ჩაატარა: „საახალწლო იკებანა“, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კაფე-საღამო, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ფოლკლორის საათი „ჩემი კუთხის საგანძური“, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 66-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა ომის ვეტერანებთან, საესტრადო ჟანრის კონცერტი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ვმონაწილეობდით ქალაქ ფოთში გამართულ ფესტივალ არტ-გენში, ასევე ქალაქ თბილისში ჩატარებულ არტ-გენის ფესტივალში. 8 აგვისტოს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებზე, ტრადიციისამებრ ვიზეიმეთ სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“. ვმონაწილეობდით ფესტივალ „კოლხობა“–ში (სარფი), ქალაქ ანაკლიის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტში, შავღელეს სოფლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ ღონიძიებაში, V საერთაშორისო ფესტივალი–„სიმღერა სამეგრელოზე“ გახსნაში. ჩვენთან ჩატარდა საფესტივალოდ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია. მოეწყო „მთიდან ყვირილი ხარისა“–სპექტაკლის პრემიერა.

კულტურის ცენტრის სპეციალისტები მეთოდურ დახმარებას და კონსულტაციას უწევენ კულტურის ცენტრში შემავალ დაწესებულებებს. ვესწრებით საანგარიშო კონცერტებსა და მიმდინარე ღონისძიებებს. ყოველი თვის ბოლოს ტარდება რაიონული თათბირი, სადაც ყველა საჭირბოროტო საკითხი განიხილება.

აქტიურად ვმასპინძლობთ დედაქალაქიდან თუ სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულ შემოქმედებით კოლექტივებს.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დღეის მდგომარეობით 45824 ცალი სხვადასხვა ღირებულების წიგნია. გამოწერილია 10 სხვადასხვა დასახელების ჟურნალ–გაზეთი. ბიბლიოთეკებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება, მკითხველთა კონფერენცია: „წიგნი და თანამედროვეობა“, პოეზიის საღამო „პოეზია მუსიკაა სულისა“ და სხვა.

კულტურის ცენტრთან არსებულმა ბიჭუნათა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონკურსსა და ფესტივალში. მათ მიენიჭათ ფესტივალის ლაურეატის წოდება და მიიღეს I ხარისხის დიპლომები. ასევე წარმატებულად ფუნქციონირებენ წრეები, ანსამბლები და სტუდიები.

კულტურის ცენტრი ცდილობს საინტერესოდ და შინაარსიანად წარმართოს მისი საქმიანობა. ვფიქრობთ, საინტერესო და პერსპექტიული მომავალი გვექნება.

ამჟამად ვემზადებით საშობაო–საახალწლო კვირეულის ღირსეულად ჩატარებისათვის, რათა ზამთრის არდადეგების პერიოდში ბავშვებს, მოსწავლე–ახალგაზრდობას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აქტიური დასვენებისა და გართობის საშუალება მიეცეთ.

***ბეჟან ნადარაია, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი.***

# ხობის წარსულიდან

## მუზეუმი

ხობის მუნიციპალიტეტს კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ბარის ცენტრალური ნაწილი უკავია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ აქ უნდა მდებარეობდეს საქართველოს უძველესი ურბანისტული ცენტრი ფაზისიც. აქ წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საქართველოს, კერძოდ კი კოლხეთის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ქვალონის „ნაოხვამუზე“, შემდეგ კი ჭალადიდში, თორსა-ღლვაბასა და ყულევში წარმოებულმა გათხრების შედეგებმა მსოფლიოს არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო და დღეს ამ ძეგლებზე მოპოვებული მასალების გათვალისწინების გარეშე, საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის სრულფასოვანი გააზრება შეუძლებელია. აქ მოპოვებული ცალკეული ექსპონატები სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო საარბრიუკენის, ბოხუმის, ვისბადენისა და მოსკოვის თემატურ გამოფენებზე და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. სიძველეებით საქართველოში ადრეც ყოფილან დაინტერესებული, სულხან-საბა ორბელიანს ევროპაში მოგზაურობისას უნახავს პალეონტოლოგიური კოლექცია და შენიშნავს–ჩემს ბატონს ამაზე უკეთესი აქვსო. ცხადია, ბატონში იგი ვახტანგ მე-6-ს გულისხმობს. ჩვენში მართალია, არაპროფესიულ დონეზე, მაგრამ მაინც პირველი არქეოლოგიური გათხრები ზუგდიდის მაზრაში



რაფიელ ერისთავმა ჩაატარა. მე-19 საუკუნეში სიძველეებისადმი განსაკუთრებული ინტერესი მოწინავე ქვეყნებმა გამოავლინეს: ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, აშშ-მ. ამ ქვეყნების არქეოლოგებმა მითები და ლეგენდები რეალობად აქციეს და მსოფლიოს შუამდინარეთის, ეგვიპტისა და ეგეოსური სამყაროს კულტურები გააცნეს. ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, ძველი კოლხეთი, მისი დედაქალაქი აია, ფაზისი, ძველკოლხური დამწერლობა ზღაპარი არ არის. ბერძენი მწერლების ცნობები ნდობას იმსახურებს. ისინი ხანდახან მოვლენებს გაზვიადებულად აღწერენ, მაგრამ თვით მათ მიერ დანახული ფაქტები რეალობას ემყარება, ამიტომ საჭიროა ინტენსიური კვლევა-ძიების ჩატარება. ისტორიული ძეგლები ჩვენი სიამაყეა, მათი შესწავლა გვეხმარება საზოგადოების განვითარების კანონზომიერების დადგენაში, რომლის გათვალისწინების გარეშე მომავალში არანაირ აღმასვლებს არ უნდა ველოდოთ. ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობა უზარმაზარ ადგილს დაიკავებს ტურისტულ ინდუსტრიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრების ნაშრომ-ნაოფლარი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში სოლიდურ წვლილს შეიტანს.

სამწუხაროდ, არის საფრთხეები, რომლებიც განსაკუთრებულად ისტორიულ ძეგლებს ემუქრება, მთავარი მათ შორის ადამიანის სამეურნეო საქმიანობა და ბუნებრივ-სტიქიური მოვლენებია. ჩვენში არქეოლოგიურ ძეგლებს განსაკუთრებული ზიანი მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში კოლხეთის ჭაობების დაშრობის კამპანიამ მიაყენა. ამ დროს გაიჩეხა ტყეები, ბულდოზერებით, პირისაგან მიწისა აღიგავა კოლხური და ეგრი-



სული პერიოდის ნამოსახლარები, დატრასებულიქნა ფერდობები, დაბლობის ნიადაგები სფერულ კვლებად აქციეს, მდინარეებსა და ღელეებს კალაპოტი შეუცვალეს და გაასწორხაზოვნეს, ბევრგან ახალმა კალაპოტმა არქეოლოგიურ ძეგლზე გადაიარა. ის, რაც მტრებმა საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლეს, მოკლე დროში ერთი ხელის მოსმით „შევძელით.“ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ისტორია პირდაპირი გაგებით წყალს მიაქვს. მდინარე რიონი წლების განმავლობაში შლის და რეცხავს მის მარცხენა სანაპიროს, ბოლო დროს სოფელ საქორქიოში გამორეცხა და გამოაშიშვლა აგურის თაღებიანი ნაგებობა. ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით მოხერხდა ძეგლის გადარჩენა, იგი არქეოლოგების ლერი ჯიბლაძის, რევაზ და ნანა პაპუაშვილების მიერ შესწავლილიქნა. შენობის გადარჩენილი ნაწილი აღმოჩნდა თაღებით გამოყვანილი სამი ქურისაგან შედგენილი საშრობი, ნაგებობიდან სამასი მეტრის რადიუსში შეინიშნებოდა აგურის შენობის კვალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ საქმე გვაქვს სერიოზულ და დიდ წარმოებასთან, რომლის მსგავსი და მასშტაბების საწარმოს არსებობა სამეგრელოს ახალ და უახლეს ისტორიაში დადასტურებული არ არის.

არანაკლებ ზიანს აყენებს ისტორიულ ძეგლებს მდინარე ხობისწყალი. მაგალითისათვის ქალაქ ხობიდან 2 კმ-ის დაშორებით სოფელ გურიფულში მდინარის მარჯვენა ნაპირზე იშლება და წყალს მიაქვს ელინისტური ხანის უზარმაზარი ნამოსახლარი და სამარხები. მდინარის ფლატეში კარგად შეინიშნება ადგილობრივი კოლხური და საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებიდან შემოტანილი მრავალრიცხოვანი კერამიკა. აქ ჩვენს მიერ მოპოვებულიქნა მთლიანი დოქი, ქვევრსამარხი, რომელშიც ადამიანის დამწვარ ძვლებთან ერთად იდო ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები. ამ მოვლენის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აცნობა კულტურის სამინისტროს, საიდანაც მოვლინებულიქნა ექსპერტი–პროფესორი დავით ლომიტაშვილი. ბოლო დროს ახალი საფრთხე გამოიკვეთა. მოგეხსენებათ, იყიდება სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების მიწები, ხშირად მასში ექცევა ისტორიული ძეგლები. ადამიანები სხვადასხვა მისწრაფებებისა და კულტურული გემოვნებისანი არიან, ამიტომ ძეგლების დაზიანებისა და განადგურების ალბათობა ამ შემთხვევაში დიდია. ამან დღის წესრიგში დააყენა მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების ფიქსირებისა და აღრიცხვის საკითხი. ჩვენს მიერ ჩატარებული რამდენიმეწლიანი შრომის შედეგად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით გამოიცა რაიონის ისტორიული ძეგლების რუკა, სადაც ისტორიული ძეგლები სატელიტური ხელსაწყოთი შესაბამის გეოგრაფიულ წერტილებშია დასმული. ნაეკლესიარების, ციხე-კოშკების, არქეოლოგიური ძეგლებისა და მუზეუმების რიცხვი ჩვენში 200 ერთეულს აჭარბებს. ამჟამად დღის წესრიგში დგას მათი გათვალისწინება ქალაქმშენებლობისა და საკადასტრო რუკებში. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით, ჩვენს მიერ მომზადდა და გამოიცა წიგნი ფოთისა და ხობის ისტორიული ძეგლების შესახებ, რომელსაც თან ერთვის რუკა. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო ვერ მოუვლის ძეგლს, თუ ხალხმა არ გაითავისა მისი მნიშვნელობა. ჩვენს მიერ მოწყობილმა ექსპედიციებმა დაგვარწმუნა, რომ ხალხში წარსულისადმი ინტერესი დიდია. ამ ინტერესების კიდევ უფრო განვითარებისა და ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით, მაღალი რანგის მეცნიერების მონაწილეობით რამდენიმე სამეცნიერო ხასიათის კონფერენცია ჩატარდა. განსაკუთრებით აქტიურად ვთანამშრომლობთ ეროვნული მუზეუმისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლებთან–პროფესორებთან იუზა ხუსკივაძესთან, თამაზ ბერაძესთან, დავით ლომიტაშვილთან, პაატა ცხადაიასთან, ბუბა კუდავასთან, ლერი ჯიბლაძესთან... ჩვენი მხარის ისტორიის შესწავლის საქმეში შეტანილი წვლილისათვის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ისტორიულმეცნიერებათა დოქტორს რევაზ პაპუაშვილს, რაიონის ხელმძღვანელობამ, გასული წლის ცოტნეობის დღესასწაულზე ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

ქართული ძეგლები საოცრადაა შეხამებული ბუნებასთან, როგორც ჩანს ქართველი ხუროთმოძღვრები მათი მშენებლობის დროს მშვენიერებაზეც ფიქრობდნენ. კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, მოვლა-პატრონობა და მათი შენახვა მომავალი თაობებისათვის თვითმიზანი არ არის, ისინი ჩვენი წარსულის უტყვი მოწმეები არიან, მათი შესწავლით შესაძლებელია ჩვენი წარსულის ფოლიანტების შევსება. იმისთვის, რომ ჩვენმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ უკეთ შეიგრძნოს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მთელი სიდიადე და მშვენიერება, ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი რამ გაკეთდა და სკოლებს დაურიგდათ ძეგლთა დაცვის შესახებ გ. ჩუბუნაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ბროშურები, სისტემატიურად ტარდება მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ლექცია-საუბრები, ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსები, ლაშქრობები, სტუდენტური ბანაკების მეშვეობით ხე-მცენარეებისაგან გაიწმინდა ხიბულისა და ხეთის ციხეები. ამ უკანასკნელში მეცნიერების მიერ პარალელურად მიმდინარეობდა ციხის არქიტექტურული და არქეოლოგიური შესწავლა. რიგ სოფლებში ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივითა და დახმარებით ხე-მცენარეებისაგან გაიწმინდა ძეგლები. იმისათვის, რომ საზოგადოებისათვის გაგვეცნო ძეგლთა დაცვის სფეროში ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები, გასული წლის მაის-ივნისში ხობის I საჯარო სკოლის საგამოფენო დარბაზში საექსპოზიციოდ გამოვიტანეთ ის მასალები, რომლებიც ჩვენს მიერ ბოლო წლებში იქნა მოპოვებული და ასახავენ ხობის ისტორიას დაწყებული ქვის ხანიდან დამთავრებული ბოლო რუსული ოკუპაციით. გამოფენა უამრავმა ადამიანმა, მათ შორის გერმანელებმა, ამერიკელებმა, თურქებმა და უკრაინელებმა დაათვალიერეს. ამავე ტიპის გამოფენა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით გასული წლის 12 აგვისტოს-„ცოტნეობას“ ხობის მონასტრის ეზოში ღია ცის ქვეშ გაიმართა, რომლისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მის დასათვალიერებლად საგანგებოდ ნოქალაქევში მყოფი გერმანელი არქეოლოგები ჩამოვიდნენ.

ისტორიული ძეგლები მოითხოვს სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას და მეცნიერულ შესწავლას, რასაც განუსაზღვრელი რაოდენობის დრო და ფინანსები სჭირდება. გასაკეთებელი ამ მხრივ ძალიან ბევრია. მთავარია, პროცესი დაიწყოს და იგი არ უნდა შენელდეს. ჩვენს ტერიტორიაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებია: „ჩეოხვამე“–წმ.კვირიკეს ეკლესია ხეთის საქირიოს უბანში, ყურუმულიას ჯიხა-ციხე, „მაჩხომერისა“ და „ჯეგეთის“ არქიტექტურული კომპლექსები, „მისარონფერდი“ და წმ.სოფიოს ეკლესია ურთის მთის სამხრეთ კალთებზე.

„მისარონფერდი“ და „ჯეგეთა“ ადრეული პერიოდის ნაქალაქარის შთაბეჭდილებას ტოვებს. საბჭოთა წყობილების დამყარებამდე „ჯეგეთის“ სამლოცველო მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო, აქ ამოსვლა ყველას ეკრძალებოდა და თუ ვინმე ამ მიდამოებში მოხვდებოდა, არა თუ ხის მოჭრას, ხმელი ტოტის წაღებასაც კი ვერ გაბედავდა. წელიწადში მხოლოდ ერთხელ 23 აპრილს-გიორგობას ხალხი ღამისთევით, „ჯეგეთაში“ სალოცავად მიდიოდა. მლოცველებს მიჰქონდათ შესაწირავი, განსაკუთრებით სპეციალურად ნაჭედი „ბოძლები“. „ამ დღეს თუ ბევრი ბოძალი შეგროვდებოდა, ხალხი ფიქრობდა, რომ იმ წელიწადს უხვი მოსავალი იქნებოდა.

წმ.კვირიკეს ეკლესია, რომელსაც ხალხი „ჩეოხვამეს“-თეთრ სალოცავს ეძახის, ძველ კოლხურ ნამოსახლარზე დგას. ცნობილი მეცნიერები დავით ლომიტაშვილი და რევაზ პაპუაშვილი არ გამორიცხავენ, იმის შესაძლებლობას, რომ ტაძარი IV საუკუნეში იყოს აშენებული. შემთხვევით აღმოჩნდა ძალიან საინტერესო ფორმის ქვაჯვარი, ტაძრის კედლები ბევრგან გაბზარულია და სასწრაფო შეკეთებას მოითხოვს.


კოლხური ქოთანი

საინტერესო აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი წმ. სოფიოს ტაძრის ეზოში. მის ქვეშ გვირაბია, რომელიც გადის მდინარე მუნჩიას ნაპირამდე, აქ ადგილობრივებმა შემთხვევით იპოვეს ძვ. და ახალი წელთაღიცხვის I საუკუნეების მიჯნის რომაული ვერცხლის მონეტა და თიხის გველის თავი, რომელზედაც ანდრია პირველწოდებულის ჯვარია გამოსახული. გველს, როგორც სიმბოლოს, ორმაგი დანიშნულება აქვს. თუ ის ცნობადის ხეზეა გამოსახული, ბოროტია, ხოლო სიცოცხლის ხეზე ქრისტეს განასახიერებს, ქართულ ხალხურ ზღაპრებში გველი ნატვრის თვალის პატრონია, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ იგი სიბრძნის სიმბოლოა. ისიც არ არის ახალი, რომ სოფიო სიბრძნეს ნიშნავს. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ წმ. სოფიოს ტაძრის ეზოსა და მისი შემოგარენის შესწავლა ჩვენი ისტორიის ბევრ ბურუსით მოცულ ფაქტს ნათელს მოჰფენს.

ხეთის წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიიდან ოციოდე მეტრში ბრინჯაოს გრიფონი აღმოჩნდა. იგი ჩვენში მითრას კულტის გავლენის დამადასტურებელია. ჩვენში მითრას-მირსას, მისარონს უწოდებდნენ. სამეგრელოში იგი სინათლის ემბლემა იყო. გრიფონის ყველაზე თვალსაჩინო დეტალი დიდი თვალებია, ხეთაში აღმოჩენილი გრიფონი წინა ქრისტიანულ ხანაში აქ არსებული სალოცავის მთავარი კულტმსახურის ტახტის სამშვენისი უნდა იყოს. ქრისტიანულ ეპოქაში გრიფონები გამოიყენებოდა ნაგებობის სამშვენისად, იგი აღდგომის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

ხობის ტაძრის აშენების შესახებ ზუსტი თარიღი არ არსებობს. ბოლო დროს ახალი კანკელის ბაზის მომზადებისას აღმოჩნდა ძველი კანკელის ჩუქურთმიანი და ფრესკულ-სალებავიანი ბაზა, რომელმაც მეცნიერებს მისცა საშუალება, ხობის ტაძრის დაარსების თარიღი მინიმუმ ერთი საუკუნით მაინც უკან გადაეწიათ. ისტორიკოს ნოდარ შონიას აზრით, იგი გუბაზ მეფის მკვლელობის ადგილას აშენდა. ხალხური გადმოცემებით ტაძრის აშენება უკავშირდება დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ცოტნე დადიანის სახელებს, ამიტომაც იყო, რომ დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა ცოტნე დადიანსა და ხობის მონასტერს მიუძღვნა პოემა „ნათელა“. ხალხში გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, ხობის მონასტერთან დავით აღმაშენებელს საზაფხულო სადგომი ჰქონდა, რაც არც თუ უსაფუძვლოა. ვახუშტი ბატონიშვილი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერს: „ჟამსა ერთსა გარდავიდა მეფე გეგუთს და მუნით ხობს“. ხალხის მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ ხობის ტაძარში დასვენებული იყო დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო და თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრები, ხოლო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით კედელზე ცოტნე დადიანი იყო გამოსახული. ტაძრის ეს ნაწილი ცოტნე დადიანის ოჯახისა და მათი შთამომავლების საძვალეედ ითვლება. ამ დღეებში აქ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სწორედ ეს აკლდამა აღმოჩნდა. ხობის მონასტერი დასავლეთ-საქართველოს კათალიკოსების ერთ-ერთ რეზიდენცი-

## ხობის წარსულიდან

# ფესვები



ას წარმოადგენდა. ამ ტაძარში დასვენებული იყო უდიდესი სიწმინდეები: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი, წმინდანთა ნაწილები, უძვირფასესი ხატები, ხელნაწერები და სხვა, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა მუზეუმებშია გაბნეული.

შარშან, აგვისტოს თვეში, ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით მონასტრის ეზოში პირველად ჩატარდა მცირე მასშტაბის დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც არქეოლოგმა რევაზ პაპუაშვილმა ჩაატარა, გამოვლინდა ძვ.წ.აღ.ის VIII-VII საუკუნეების კოლხური ნამოსახლარები. ბატონი რევაზ პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ



სინოპური ამფორა

„ხობის ცნობილი მონასტერი არ აშენებულა ცარიელ ნიადაგზე, აქ ამ ტაძრის აგებამდე მინიმუმ 1500 წლით ადრე ცხოვრება დუღდა, თუ იმ ნივთებსაც გავითვალისწინებთ, რომლებიც სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება ( ისინი ნაწილობრივ ავსებენ 1500 წლიან მონაკვეთს), მაშინ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იმ მთაზე, რომელზედაც ხობის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, ცხოვრება იწყება თითქმის 30 საუკუნის წინათ და გრძელდება დღემდე...“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხობის ტაძარი ისეთივე მყარ და ძლიერ ფესვებზეა აღმოცენებული, როგორზედაც ბაგრატისა და სვეტიცხოვლის ცნობილი ტაძრები. გვინდა შევნიშნოთ, რომ სვეტიცხოველი უფლის კვართზეა დაფუძნებული, ამიტომ ის უდავოდ უფრო მნიშვნელოვანი ტაძარია, ვიდრე ნებისმიერი სამრევლო ეკლესია. მეცნიერებისათვის ცნობილია და ეს თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილმაც შენიშნა, რომ ქრისტიანული ტაძრები ძირითადად წინაქრისტიანულ ნატაძრალებზე აშენდა, ცხადია, იმ ტაძრის ადგილას, სადაც ღვთისმშობლის კვართი იყო დასვენებული, წინაქრისტიანულ ხანაშიც დიდი მნიშვნელობის სალოცავი უნდა მდგარიყო.

ხობის მონასტერი მეტად მნიშვნელოვანი სალოცავი იყო, ამაზე მიუთითებს ის, რომ აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მრავალი სიწმიდე, მათ შორის ღვთისმშობლის კვართი იყო დასვენებული. ტაძრის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ძველ დადიანებს იგი შეურჩევიათ თავიანთ საუკუნო განსასვენებლად-ძვალთშესალაგად. ლევან II დადიანი სიგელში მამულების მფლობელობის განახლების შესახებ ხობის საყდრისადმი ამბობს: „...ძუელთა ჩუენთა მამაპაპათა საფლავი ყოფილიყო, კურთხეულთა და სახელდებულთა.“ ლევან III დადიანის 1675 წლის ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნის მიხედვით ხობის მონასტერი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებისათვის სასაფლაოდ არის შეწირული. ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ მღვდელ მონაზონ კალისტრატე ჩიჩუას და რაფიელ ერისთავს ხობი ძველ დადიანებთან ერთად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსების სამარხად მიეჩნიათ, პირველს აღნიშნული აქვს, რომ „საფლავის ქვები უძველესი დროისა არ ჩანს, არც უწინდელი დადიანების და არც კათალიკოსების“. ამის ძირითადი მიზეზი უცხო დამპყრობლები იქნებოდნენ, მაგალითად 1569 წელს შედგენილ შეწირულობის წიგნში ნიკოლოზ ხოპელი ამბობს“ „...თათრისგან გაოხრებული და გაცუდებელი საყდარი და მონასტერი იყო“. „...თუმცა, ალბათ ტაძარს არც „შინაური მოკეთეები“ დააკლებდნენ ხელს, განსაკუთრებით გვიანშუასაუკუნეებში.

2010 წლის ზაფხულში ხობის ტაძარში ბატონ რევაზ პაპუაშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ იგი მართლაც ძველ დადიანთა საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა. საძვალე-აკლდამა აღმოჩნდა ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აქ სამხრეთის კედლის კუთხეში იყო გამოსახული შერგილ დადიანი, მისი მეუღლე ნათელი? შვილები ცოტნე და თამარი. გაცილებით ადრე 2000 წლის 23 დეკემბერს ხობის ტაძრის ჩრდილო დასავლეთ კუთხეში იატაკის სარემონტო სამუშაოების შესრულებისას ახალგაზრდებმა საძვალე-აკლდამა აღმოაჩინეს, სამწუხაროდ, გამოუცდელობის გამო, ისინი აჩქარდნენ და დამოუკიდებლად დაიწყეს მისი ამოლაგება. ადგილზე დაგვხვდა ადამიანის ცხრა თავის ქალა და ძვლები, დიდი ზომის ლითონის შანდალი. ქსოვილის მცირე ნაშთები, ოქროსფერი ძაფები, თეფშის ნატეხები, რომლებიც ერთმანეთს კარგად უერთდება და ზედ გამოსახულია მუქი ლურჯი საღებავით შესრულებული ევროპული ტიპის სურათი, თეთრი მინისგან დამზადებული ბოთლის ყელი, რკინის ორი დეზი, ტანსაცმლის შესაკრავი ლითონის სამკერდე. აკლდამას დასავლეთით აქვს სარქველი და რაც ძალიან უცნაურია, იგი ფსკერზე ყოფილა დადებული, ძვლები ფხვიერი მიწით ყოფილა დაფარული, ხოლო სარქველამდე სხვადასხვა ზომის კირქვის ნატეხებით ყოფილა ამოვსებული, ერთ ქვაზე ფრესკული საღებავიც შეიმჩნეოდა. მოწვეულიქნა იმჟამად ყულევში მომუშავე კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი რევაზ პაპუაშვილი. მან აღნიშნა, რომ ზემოთ დასახელებულ ნივთებს XIX საუკუნეში რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები ატარებდნენ. ამ აკლდამის შესახებ ერთადერთი წერილობითი წყარო ეკუთვნის მღვდელ-მონაზონ კალისტრატე ჩიჩუას, რომელიც 1862-1888 წლებში ხობის მონასტრის ხაზინადარი იყო. იგი მის მიერ 1894 წელს გამოცემულ წიგნში-„ხოპის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო“ წერს: „ხოპში შიგნით ეკლესიაში იყო არხეოლოგიური აკლდამა, რიყის ქვით მოწყობილი, რომელიც ამ 7-8 წლის უკან ცნობისაგან დაუკარგავთ, ჩასავალი გაულესიათ, შეუკრავთ და აღარც ეტყობა აქ თუ ოდესმე საძვალე იყო. უეჭველად ამაში ბევრი სხვადასხვა საარხოლოგიო ნივთები მოიპოვებოდა. ამავე წიგნში ის წერს, რომ ტაძრის გარეთ გალერეაში დაკრძალული ყოფილა რუსი გენერალი რიგკოფი, რომელიც 1804 წელს ყულევში შემოსული რუსული ჯარის სარდალი ყოფილა. უფრო ადრე ამ ცნობას გვაწვდის რაფიელ ერისთავიც. რიგკოფმა 1807 წელს ადგილობრივი რაზმების მხარდაჭერით ფოთს შეუტია, თურქებთან ბრძოლაში მაიორი ლიპატინი დაღუპულა, ხოლო რიგკოფი მოულოდნელად გარდაცვლილა. ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ რუსი სამხედრო პირები საძვალეში 1894 წლის მერე უნდა იყვნენ გადასვენებული. საინტერესოა, რომ ერთ თავის ქალას შუბლს ზემოთ მარჯვენა ნაწილში ეტყობოდა მცირე ზომის რომბისებური ნახვრეტი, შესაძლოა იგი მაიორ ლიპატინისა იყოს. რაც შეეხება აკლდამას მ.მ. კალისტრატე სწორედ ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეს გულისხმობდა, რადგან ეს აკლდამა აქამდე სწორედ რიყის ქვით იყო ირგვლივ მოკირწლული.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვამეყ დადიანის ეკვდერი მდებარეობს. მის შესასვლელში ჩადებულია მარმარილოს ლოდი, რომელზედაც ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში ვკითხულობთ, რომ ვამეყ დადიანმა, რომელიც მთავრობდა 1384-1396 წლები, ილაშქრა ჯიქეთში, „ურწმუნოებისა და ორგულობისათვის“ დასაჯა ისინი, წამოიღო იქიდან „სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი“. ვამეყის „ნადავლი“ მარმარილო სამხრეთ მინაშენის გალერეისა და ეკვდერის მშენებლობისათვის გამოუყენებიათ, რომელიც მას საკუთარი ოჯახის საძვალედ აუშენებია. შემდგომ თვითონაც შიგ დაუკრძალავთ. ეკვდერის შიგნით გამოსახულნი არიან ვამეყი და მისი მეუღლე მარიამი.

ახლად აღმოჩენილი საძვალე თაღურად ყოფილა გადახურული, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჩანგრეულა, როცა იგი ამოიწმინდა, აღმოჩნდა, რომ სამხრეთითა და ჩრდილოეთით მიცვალებულის ორი დასასვენებელი იყო გამართული, ჩასასვლელი დასავლეთის კარებიდან ჰქონია, აქვეა გამართული ქვის კიბეც. რაც მთავარია, უნდა აღინიშნოს, რომ აკლდამის სამხრეთის კედელი ტაძრის ძირითადი კედლის ქვეშ არის მნიშვნელოვნად შესული, ხოლო ტაძრის დასავლეთის კედელი ზედ აკლდამის კედელზეა დაშენებული, რაც ადასტურებს იმას, რომ საძვალე მანამადე უნდა ყოფილიყო გამართული, ვიდრე ტაძარი აშენდებოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ხობის არქიტექტურის შესწავლისას საინტერესო აზრი გამოთქვა ცნობილმა მეცნიერმა ლევან რჩეულიშვილმა. არქეოლოგიური კვლევების გარეშე მან შენიშნა, რომ ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში საძვალე უნდა ყოფილიყო გამართული, რაც დღეისათვის დადასტურებულია. ამ ბოლო დროს სამხრეთ-დასავლეთის აკლდამის აღმოჩენამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დიდი ინტერესი გამოიწვია, მან იგი ცოტნე დადიანის სამარხად ჩათვალა. ჩვენ არ ვაპირებთ ამ საკითხის დეტალურ განხილვას, მაგრამ საზოგადოებას ამის საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, ხობის მონასტრისადმი მამულების განახლება ლევან II დადიანის მიერ შედგენილი სიგელი, რაფიელ ერისთავისა და მღვდელ-მონაზონ კალისტრატე ჩიჩუას ცნობები, ხობის ტაძარში გამოხატული შერგილ დადიანის საოჯახო ფრესკა, აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“, სადაც ცოტნე დადიანი ხობის ტაძართან არის დაკავშირებული, რაც მთავარია, ეტყობა საზოგადოებამ გაითვალისწინა გადმოცემები, ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი მოვლენები ხალხის ხსოვნაში რჩება, იგი ამა თუ იმ ფორმით თაობიდან თაობას გადაეცემა.

ხობის მონასტრის ირგვლივ მცხოვრებნი–ნოჯიხეველი, ბიელი და ხობელი მოხუცები დარწმუნებულნი ყვებოდნენ, რომ „მონასტრის ქვეშ გვირაბია, რომელიც ადამიანის ძვლებით არის სავსე“, რომ „ცოტნე აქ არის დაკრძალული,“ რასაკვირველია მათ ეს ამბები თავიანთი ბაბუებისგან გაუგიათ. 1999 წელს ჩვენ საინტერესო ლეგენდა ჩავიწერეთ სოფელ ნოჯიხევში მცხოვრებ ჯემალ ლევანის ძე ჯორჯიკიასაგან, რომელიც მას მამისგან, მამას კი თავისი ბაბუის ალმასხან ჯორჯიკიასგან გაუგია. უნდა შევნიშნო, რომ ჯორჯიკიები საეკლესიო აზნაურები იყვნენ, ხობის მონასტრის მამულების მოურავი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბოლო პერიოდში ივაკა გიორგის ძე ჯორჯიკია იყო. გადმოცემის მიხედვით ერთხელ ცოტნე დადიანი ხობისწყლის პირას ნადირობდა, იქ, სადაც დღეს ხობის მონასტერი მდებარეობს გაუვალი ტყე ყოფილა. ცოტნეს დაღამებია და ღამე ვინმე კიტიას ოჯახში გაუთევია. დადიანს მეორე დღეს გაუგრძელებია ნადირობა და ტახი მოუკლავს, ხოლო იქ, სადაც მონასტერია, დანგრეული ეკლესია უნახავს. ცოტნეს კიტიასათვის დაუვალებია, ეკლესიის მიდამოები გაეკაფა, შემდეგ მას აქ ახალი ეკლესია აუგია. უნდა შევნიშნოთ, რომ ხობის ტაძრის ჩრდილოეთით 500-იოდე მეტრში, არის სოფელ ბიის უბანი, რომელსაც „კიტიას ნახორი“–კიტიას ნამოსახლარი ქვია, აქ არც ამჯამად და არც არავის მოხუცთაგანს არ ახსოვს, რომ აქ კიტიებს ეცხოვროთ, მაგრამ ზემოთ მოხსენებული გადმოცემიდან და ადგილის სახელწოდებიდან გამომდინარე, შორეულ წარსულში ეს უბანი ალბათ კიტიებით უნდა ყოფილიყო დასახლებული, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ხობის ტაძარი, ძველ ნატაძრალზეა აშენებული, ხოლო ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთით 300-იოდე მეტრის დაშორებით არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილის მიერ ადრექრისტიანული ხანის ნატაძრალი დაფიქსირდა. აქ ის არის საინტერესო, რომ ხალხური გადმოცემა და არქეოლოგიური გათხრების შედეგები საოცრად ემთხვევა და ავსებენ ერთმანეთს. გასაგები მიზეზების გამო საძვალეს ჩვენამდე ხელუხლებელი სახით არ მოუღწევია. როგორც ბატონი რ. პაპუაშვილი აღნიშნავს, ძალიან ძნელია კონკრეტულად დაასახელო და თქვა, რომ ეს ძვალი შერგილ დადიანს, ცოტნეს ან გიორგის ეკუთვნის, მაგრამ დღეისათვის ძველ დადიანთა სამარხი სხვაგან ცნობილი არ არის, ცხადია გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძველ საქართველოში თვით შორეულ ქვეყნებში დაღუპულ პირთა ნეშტსაც კი არ ტოვებდნენ, ჩამოასვენებდნენ და საკუთარ საძვალეში მიუჩენდნენ ბინას, რაც დღესაც მეორდება და გრძელდება, უნდა ვიფიქროთ რომ, ალბათ ცოტნეც თავის საგვარეულო საძვალეში უნდა ყოფილიყო დაკრძალული. რასაკვირველია ცოტნე დადიანს, როგორც უაღრესად ეროვნულ და ზნეობრივ გმირს, ცოტნე აღმსარებელს როგორც წმინდანს, ყველგან უნდა მიეგოს შესაფერისი პატივი, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე ხობის მონასტერია ის ადგილი, სადაც მას ყველა ქართველმა და ამავე დროს ყველა მართმადიდებელმა ქრისტიანმა განსაკუთრებული პატივი უნდა მიაგოს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხობის მონასტრის ისტორიის შესწავლისას ბევრ სირთულეებს ვაწყდებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მას ინტენსიურად იკვლევენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, ძალიან ჭირს ტაძრის ისტორიის დადგენა, ბევრი მოვლენა და ფაქტი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, კვლევის პროცესში სულ ახალ-ახალი გამოცანები ჩნდება, რომელიც ამოხსნას მოითხოვს. სულ ახლახან მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას ტაძრის ჩრდილოეთის კედლის პარალელურად, ორიოდე მეტრის დაშორებით, 30-იოდე სანტიმეტრის სიღრმეში აქამდე უცნობი კედლის ნაშთები აღმოჩნდა. ჯერჯერობით არც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსების სამარხები და არც მონასტრის ბერების



კოლხური ცული

საძმო საფლავი ჩანს. ამიტომ მეცნიერული კვლევები უნდა გაგრძელდეს და ვინაიდან წერილობითი წყაროები მწირია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არქეოლოგიურ კვლევებს, პირველ რიგში კი დეტალურად არის შესასწავლი ტაძრის გალავნის შიგნით მდებარე ტერიტორია.

მიმდინარე წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ჯგუფმა გერმანელ არქეოლოგებთან ერთად დაიწყეს სოფელ თორსა-დღვაბაში ძველი კოლხური ნამოსახლარის „ტაბაკონას დიხაგუძუბას“ შესწავლა.

სიძველეები სათავეებისკენ გვაბრუნებს. ადამიანი, როდესაც ნახავს ხობის მონასტრის ეზოში მტრისგან გადაბუგულ და იავარქმნილ კოლხურ ნამოსახლარებს, მიხვდება, რომ ჩვენი წინაპრები უიმედობაში არასდროს ვარდებოდნენ, დანგრეულს აღადგენდნენ, მათი შრომითა და ბრძოლით მოვიდა საქართველო დღემდე.

ჩვენი ვალია, გავუფრთხილდეთ ფესვებს. ისტორიული ძეგლები ნათელი და თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ მომავალმა თაობებმა როგორ უნდა იცხოვრონ.

**გოგიტა ჩიტაია**

# „ჩვენს საქმიანობას ემადლიერებიან“



**ხობის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი გოჩა არაჩემია ამ თანამდებობაზე 2009 წელს დაინიშნა და დღემდე ჩინებულად უძღვება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ის მრავალმხრივ განათლებული და ნიჭიერი ადამიანია. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქ. ხობის შ.ს. რაიგანყოფილებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარ სამმართველოში, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ოპერატიულ სამსახურში, შ.ს.ს. სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო შ.ს. მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორ-გამომძიებლად, წალენჯიხის შ.ს. რაისამმართველოს კრიმინალური პოლიციის ლიის ქვე-განყოფილების უფროსად. ასევე მუშაობდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსად. დამთავრებული აქვს სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.**

**თუ რა მდგომარეობაა დღეს სახანძრო-სამაშველო სამსახურში, როგორია მათი მუშაობის ყოველდღიურობა, ამ და სხვა კითხვებზე ვესაუბრეთ აღნიშნული სამსახურის უფროსს ბატონ გოჩა არაჩემიას.**

***ბატონო გოჩა, როგორია ხობის მუნიციპალიტეტის სახანძრო–სამაშველო სამსახურის ტექნიკური აღჭურვილობა, პრობლემები ხომ არ გექმნებათ?***

–სახანძრო-სამაშველო სამსახურს ერიცხება ორი სახანძრო სპეციალური მოდეფიკაციის ზილ–130 აც–40 და ზილ–131 კუსტარული ავტოცისტერნით აღჭურვილი, 1983–1987 წლებში გამოშვებული ავტომანქანები. აგრეთვე, სამაშველო ოპერატიული მსუბუქი ავტომანქანა. უმოკლეს ვადებში საჭირო და მიზანშეწონილია მოხდეს ავტოპარკის განახლება, რადგან არსებული ტექნიკა მოძველებული და ტექნიკურად რესურსამოწურულია. ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ავტომანქანების შენახვა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც სამსახურის ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. სახანძრო–სამაშველო დეპოს შენობა და მასში განთავსებული სათავსოები შესაკეთებელია, მოსაწყობია დეპოს მიმდებარე ტერიტორია. პირადი შემადგენლობის პროფესიული მომზადების უზრუნველსაყოფად ასევე მოსაწყობია სასწავლო ოთახები, სასწავლო კოშკი, სარბენი ბილიკები, სპორტული მოედნები და სხვა ინფრასტრუქტურა. პირად შემადგენლობას გააჩნია სამსახურებრივი ყოველდღიური და საბრძოლო ფორმები, ცეცხლგამძლე ჩექმა და სხვა საჭირო ინვენტარი. სამსახურს დაგეგმილი აქვს მიმდინარე წელს შეიძინოს სამაშველო განყოფილებისათვის მოტორიანი ნავი, მოტორიანი კატარღა და სხვა აუცილებელი საჭირო სპეციალური ინვენტარი. მინდა გითხრათ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამსახურის პირადი შემადგენლობა უზრუნველყოფილია სიცოცხლის და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის პაკეტით, რაც ნამდვილად მისასალმებელი და დასაფასებელია.

***რამდენი თანამშრომელია სახანძრო–სამაშველო სამსახურში, როგორია მათი ანაზღაურება, ხდება თუ არა სპეციალისტთა მონაცვლეობა?***

–ქ. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახური შედგება სახანძრო სამაშველო განყოფილებისაგან. სამსახურის საშტატო შემადგენლობა 35 თანამშრომელს ითვლის. სამსახურის 2011 წლის ბიუჯეტი სხვადასხვა კვალიფიკაციით შეადგენს 252,600 ლარს.

შ.ს. მინისტრის 2010 წლის ბრძანების სახანძრო–ტექნიკური საშუალებათა გამოყენების ნორმატივების შესრულების პირობები და ნორმების შესაბამისად, წლიური გეგმაგრაფიკის დისციპლინების მიხედვით პირად შემადგენლობას ყოველდღიურად ადგილზე უტარდებათ თეორიული და პრაქტიკული სწავლებები, ჩათვლები. ამასთანავე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილების–საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების შესაბამისად, 2012 წლის დეკემბრამდე ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს მეხანძრე–მაშველების უმცროს და უფროს მეთაურთა სწავლება–გადამზადება, სერთიფიცირება შ.ს. სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების ცენტრში.

***რამდენად ხშირია გამოძახებები, გქონდათ თუ არა შემთხვევა, როცა თქვენი ძალებით ვერ შეძელით ხანძრის ლოკალიზება, ამ შემთხვევაში დაშავდა თუ არა ვინმე?***

– წინა წლებთან შედარებით გამოძახებები წელს ნაკლები იყო. 2010 წლის 1 სექტემბერის მოხდა №4 სირთულის კატეგორიის ხანძარი. ტექნიკის უკმარისობის და განვითარებული სიტუაციიდან გამომდინარე, შ.ს.ს. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ინსტრუქციის შესაბამისად, მოვახდინეთ მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან– ზუგდიდიდან, სენაკიდან, ფოთიდან, აბაშიდან დამხმარე ძალების მობილიზება. მოსახლეობის შესაძლო ევაკუაციისათვის, ქონების გადარჩენისათვის და ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვისთვის დამატებით მობილიზებულიქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის №2 სამმართველო, თავდაცვის სამინისტროს სენაკის №2 სამხედრო ბრიგადა, ხობის შ.ს. რაისამმართველოს პირადი შემადგენლობა და სხვა სამართლებრივი სტრუქტურები. საბედნიეროდ, ადამიანიების დაშავებასა და ქონების განადგურებას ადგილი არ ჰქონია.

***სახანძრო შემთხვევების ლიკვიდაციის გარდა, კიდევ რა სახის სამაშველო სამუშაოს ატარებთ?***

–სახანძრო-სამაშველო სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრებში სახანძრო უსაფრთხოების, წარმოშობილი ხანძრების, ავტო-საგზაო შემთხვევების, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურების ლიკვიდაციას, ადამიანების და ქონების გადარჩენას, ახორციელებს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის დაქვემდებარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ობიექტებზე ხანძარსაწინააღმდეგო სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ჩატარებას, შემოწმების შედეგების შეჯამებას, მომხდარი შემთხვევების აღრიცხვას და მოკვლევისათვის შს ხობის რაისამმართველოში გაგზავნას. აგრეთვე უზრუნველყოფს ყოველი თვის დამთავრებიდან მეხუთე დღეს შ.ს.ს. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში მომხდარი ხანძრების კრებსის, მომხდარი ხანძრებისა და შედეგების ნაკრები ცხრილის, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობითი ორგანოების მიერ ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევებისა და შემოწმებების (ანგარიშის) გაგზავნას.

***როგორც აღნიშნეთ, სახანძრო-სამაშველო სამსახურს ორი მანქანა ემსახურება, ხობის მუნიციპალიტეტი კი ოც სოფელს მოიცავს, ეს ორი მანქანა ცოტა ხომ არ არის?***

–არსებული ტექნიკა ნამდვილად არასაკმარისია. მუნიციპალიტეტის მდებარეობიდან და ტერიტორიული მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოეწყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახანძრო ქვეგანყოფილებები, კერძოდ №1 სექტორი–სოფელი საჯიჯაო, რომელიც მოემსახურება სოფელ ბიას, ახალ და ძველ ხიბულას. №2 სექტორი–სოფელი ჭალადიდი მოემსახურება საგვიჩიოს, პატარა ფოთს, ახალ სოფელს, ყულევს, გაღმა შუა ხორგას და გაღმა ქარიატას. №3 სექტორი–სოფელი ხეთა მოემსახურება თორსა–დღვაბას, ხამისქურის და პირველი მაისის ავტომაგისტრალის მონაკვეთს. არსებული ცენტრალური სახანძრო დეპო უზრუნველყოფს ქვეგანყოფილებებს შორის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფას. უსაფრთხოების დაცვას ქ. ხობის, ნოჯიხევის, პირველი და მეორე გურიფულის, ზემო ქვალონის, შუა ქვალონის, ქვემო ქვალონის, პირველი ხორგის, გამოღმა შუა ხორგის, გამოღმა ქარიატის და პირველი მაისის ტერიტორიებს.

***რამდენად ენდობა მოსახლეობა სახანძრო-სამაშველო სამსახურს და თვითონ თუ არიან ინფორმირებულები როგორ იმოქმედონ ხანძრის შემთხვევაში?***

–რაც შეეხება რამდენად ენდობა მოსახლეობა სახანძრო-სამაშველო სამსახურს, მოგეხსენებათ, რომ ალბათ ნდობის ამსახველია მოსახლეობის მიერ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული სამადლობელი ბარათები, რომლებიც მადლიერებით მოიხსენიებენ სახანძრო–სამაშველო სამსახურსა და ხობის პოლიციას გაწეული დახმარებისათვის, ქონებისა და სიცოცხლის გადარჩენისათვის.

ხანძრების, ავტოსაგზაო, სამაშველო და სხვა ტექნოლოგიური ხასიათის ღონისძიებების დროს კოორდინირებულად მუშაობს სახანძრო–სამაშველო სამსახური, ხობის შ.ს.ს. რაისამმართველოს ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა.

***გყავთ თუ არა თქვენი საქმიანობის შემფასებლები, კონკრეტულად ვინ არიან ისინი?***

–ჩვენი სამსახურის პროფესიული საქმიანობის შემფასებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, შ.ს.ს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, ჩვენი მადლიერი მოსახლეობა.

**ესაუბრა ნანა კემულარია.**

# „მუსიკა ჩემი დღევანდელი რეალობაა...“

***ხობი, მოგეხსენებათ, პატარა ქალაქია, ყველა–ყველას იცნობს და ასე თუ ისე, პატივს სცემს. ჩვენი, ჟურნალისტების მოვალეობა ისაა, თვითონ ავირჩიოთ სასურველი რესპოდენტები, რათა ისინი შემდგომში საზოგადოებას გავაცნოთ. ქალაქში თუ სოფლად არის ისეთი დაწესებულებები და საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებსაც ყავთ საკმაოდ წარმატებული უფროსი სპეციალისტები.***

***ამჟამად, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლაზე, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია. ათეული წელია, რაც ეს ცენტრი მოზარდთა მუსიკალური განვითარებისათვის იღწვის. უთუოდ დასაფასებელია ის ღვაწლი, რომელიც ქალბატონმა ნათელა მარგველაშვილმა თავის პედაგოგიურ „დასთან“ ერთად ამ სასწავლებლისთვის გასწია. უთვალავი წარჩინებული მოსწავლე, ახალი კადრები, რომლებიც დღეს ამ სკოლაში მუშაობენ, სწორედაც რომ მათი აღზრდილები არიან. დღეს კი მათ დანატოვარს, წარმატებით უძღვება ახალგაზრდა ქალბატონი, განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლის უფროსი სპეციალისტი თამარ ხუნწარია. მუსიკალური სკოლის წარმატებები, გამორჩეული ღონისძიებები, რომელიც ჩვენს ქალაქში არაერთხელ ჩატარებულა, ვფიქრობ, რომ ამ კოლექტივის და მისი ხელმძღვანელის დამსახურებაა, თუ რა არის მისთვის მუსიკა, რას ნიშნავს მეგობრობა და რატომ არის ხობი მისთვის მშობლიური, ამას მასთან ინტერვიუში გაიგებთ.***

***ქალბატონო თამარ, გზა რომელიც დღემდე გამოიარეთ...***

–გზა, რომელიც აქამდე გამოვიარე, ასეთია: წარმოშობით სენაკელი გახლავართ. სენაკის სკოლის დამთავრების შემდეგ დავამთავრე ქ. თბილისის ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედი და ჩავირიცხე მ. ფანიაშვილის მუსიკალურ გიმნაზიაში. რაც შეეხება ხობს, მოღვაწეობა აქ 1994 წელს დავიწყე, როცა №2 საჯარო სკოლაში „ბასტი–ბუბუს“ სტუდიაში მომიწვიეს მასწავლებლად, ამ სტუდიას ქალბატონი ბეატრისა რუსია ხელმძღვანელობდა. 1999 წელს ამავე სკოლაში მუსიკის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. 2005 წელს კი მუსიკის მასწავლებლად სამუსიკო სკოლაში გადავედი. 2006 წელს სამუსიკო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დავინიშნე. ამჟამად ვიმყოფები განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

***თქვენ და მუსიკა?***

–რაც შეეხება მე და მუსიკას, მუსიკა არის ჩემი დღევანდელი რეალობა, ჩემი პროფესია, საქმე, რომელსაც დიდი სიყვარულით ვემსახურები. არ შეიძლება ადამიანმა აირჩიოს ის საქმე, რაც მასში არ არის. მუსიკა არის ხელოვნების ის დარგი, რომელსაც მოფერება და გაფრთხილება სჭირდება. ჩემი აზრით, აუცილებელია, მოზარდმა მიიღოს მუსიკალური განათლება, ერკვეოდეს მისი ქვეყნის მუსიკის ისტორიაში, იცნობდეს გენიალურ ქართველ კომპოზიტორებს, მათ ნაწარმოებებს. ამავე დროს მსოფლიო კომპოზიტორებს, რადგან ჩამოყალიბდნენ პიროვნებებად, განა შეიძლება 21-ე საუკუნეში ახალგაზრდა ვერ ერკვეოდეს ვინ არის ზაქარია ფალიაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე, მოცარტი, შოპენი, ბახი და ა.შ.

***ხართ თუ არა მიზანდასახული?***

–რა თქმა უნდა, ადამიანს, ვისაც ცხოვრებაში მიზანმიმართულობა არ გააჩნია, ის წარმატებას ვერ მიაღწევს.

***როგორ ფიქრობთ, ცხოვრებაში რომელი პერიოდია დასამახსოვრებელი, სკოლის წლები თუ სტუდენტობა?***

–ორივე ისეთი პერიოდია, რომლის დავიწყება არ შეიძლება, ორივეს თავისი დატვირთვა აქვს, მაგრამ მე მაინც სკოლის წლებს გამოვყოფდი, ლაღსა და უზრუნველ ბავშვობის წლებს.

***ვინაიდან თქვენ ხობელი არ ხართ, მინდა შეგეკითხოთ, რა არის თქვენთვის ხობი?***

–მიუხედავად იმისა, რომ მე სენაკელი ვარ, ხობი ჩემთვის ძალზე მახლობელი ქალაქია. ძალიან მიყვარს აქაურობა და აქაურები. 18 წელია უკვე აქ ვარ. თითქმის შევესისხლხორცე აქაურობას. აქ ბევრი მეგობარი შევიძინე. მართალი რომ გითხრათ, ხობი უფრო ახლობელი გახდა, ვიდრე სენაკი.



***თქვენს პატარა პედაგოგიურ გუნდზე რას გვეტყვით?***

–სამუსიკო სკოლის პედაგოგები, რომელიც თექვსმეტი პედაგოგისაგან შედგება, ყველანაირად ცდილობს მოსწავლეებს თავიანთი ცოდნა გაუზიარონ, რათა მათ მიიღონ აუცილებელი მუსიკალური განათლება, მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და მადლობა მოვუხადო ქალბატონ ნათელა მარგველაშვილს გაწეული შრომისთვის. უმრავლესობა ვინც დღეს აქ მუშაობს მისივე კურსდამთავრებულები არიან, რომლებმაც წარმატებით გააგრძელეს პედაგოგიური მოღვაწეობა.

სამუსიკო სკოლა სისტემატურად მონაწილეობს როგორც შიდა, ასევე რაიონულ ღონისძიებებში. სწორედ, რომ ამ კოლექტივის დამსახურებაა, რომ გვყავს საკმაოდ წარმატებული მოსწავლეები. დღეს სამუსიკო სკოლის ძირითად ბირთვს წარმოადგენს მოსწავლეები: ნინო გოთოშია, ცირა დუდუნია, ანა კვიკვინია, ანა ქანთარია, სოფიკო კვირტია. პედაგოგებისთვის კი თავისი მოსწავლეების წარმატება დიდი ჯილდოა.

***თქვენი საყვარელი საქმიანობა?***

–რაც შეეხება საყვარელ საქმიანობას, ეს არის ვემსახურო ჩემს პატარა „ოჯახს“, აღვზარდო ჩემი ორი ვაჟი ვაჟკაცებად, რათა პირნათლად ემსახურონ თავიანთ ქვეყანას, პატარა საქართველოს.

**ნინო გერგაია.**

## გვახსოვდეს აფხაზეთი!

# „ახლებურად მენატრები, ძველებურად მიყვარხარ!“



„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს!“–თქვა პოეტმა და ნათქვამი ცხოვრების მიერ დადასტურებული სიმართლე გამოდგა. ვილაც უჯიშო კაცმა, აფხაზეთი, ჩვენთვის, ქართველთათვის მონატრებად აქცია.

აფხაზეთი, რომელსაც საქართველოსთან ერთად აქვს წარსული.

აფხაზეთი, რომელსაც საქართველოსთან ერთად აქვს ქრისტიანული წარსული.

მონატრებაა აფხაზეთი, რომელიც ისტორიული ქრისტიანული კულტურის კანონიერი მემკვიდრე და კულტურის მატარებელია.

მონატრებაა მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინთა, რომელიც ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლები და თანამშრომლობის მოწმობანია. იგი ხომ ქართული ფეოდალიზმია „მეფით“, „თავადით“, „აზნაურით“, ქართული ჩვევებით, ეთიკით, ქრისტიანობით, ენით, შემოქმედებით, კულტურით.

...და აფხაზებს ჰყავდათ თავიანთი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები:

ემხვარები, ანჩაბაძეები, შარვაშიძეები, ინალ–იფა, რომლებიც თხოვდნენ მეფის ხელისუფლებას, შეეერთებინათ აფხაზეთი ქუთაისის გუბერნიისათვის...

რადგან, აფხაზეთი ძველი კერაა ქრისტეს სჯულისა, აკვანი მოციქულთა ანდრიასი და სიმონ ქანანელის, ბინა ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის, თამარის...

მენატრება ასეთი აფხაზეთი... რადგან, ქართველი და აფხაზი–აფხაზეთში, საქართველოს ამ კურთხეულ მიწაზე, ოდითგანვე ერთად ვცხოვრობდით, ძალიან ხშირად ჭერიც და ეზოც, ლხინიც და ჭირიც საერთო გვქონია.

მორდუობა და მოყვრობაც ხომ საერთო გვქონდა. რამდენ აფხაზს და ქართველს გვარიც საერთო გვაქვს წერეთელი–ქართველი, წერეთელი–აფხაზი, მხეიძე–ქართველი, მხეიძე–აფხაზი, ნოზაძე–ქართველი, ნოზაძე–აფხაზი, ნარმანია–ქართველი, ნარმანია–აფხაზი და ასე შემდეგ.

მჯერა, ყველა ქართველს ენატრება ქართულ-აფხაზური სუფრა, ქორწილები, როცა სუფრასთან მსხდომნი, ერთად მღერიან და საუბრობენ, როგორც აფხაზურ, ისე ქართულ-მეგრულად.

მონატრებაა საქართველო აფხაზეთთან ერთად, როცა ირანელი პოეტი (შირვანი–ხაკანი) წერდა ასეთ სტრიქონებს: „ტრფობით შენი თეთრი სახის და კავების, მას რომ ამკობს, აფხაზეთში დავესახლე და ქართულად ვლაპარაკობ“, ან კიდევ „...ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დავკრავ და აფხაზეთს გავალ, ღია დამხვდება ქართველების კარები, მჯერა“...

იყო დრო, როცა აფხაზეთო, ჩემო სოხუმო, ჩემო ბავშვობისა და ახალგაზრდობის ერთადერთო დასასვენებელო მხარევ და ქალაქო, წლიდან წლამდე მენატრებოდი. რადგან ყოველ ზაფხულს შენთან ვატარებდი, მინდოდა მალე გასულიყო დრო, რადგან მონატრებულს ერთი წლის თავზე ისევ შეგხვედროდი.

მაგრამ, ახლანდელი მონატრება სხვანაირია, იგი წლებს ითვლის, არ იცრიცება, არ ფერმკრთალდება, და ალბათ, არასოდეს გაქრება. მას თან უზომო ცნობისმოყვარეობა ერთვის–უჩვენოდ როგორა ხარ იქ, გაღმა ნაპირას; კვლავ თუ ყვავიან ულამაზესი მაგნოლიები, ისევ ძველებური სურნელი თუ ასდის ქუჩებში მიმობნეულ ჟასმინებს, ისევ თუ ყვებიან სიყვარულის ამბებს ფრთაფარფატა თოლიები...

მძაფრად მენატრება შენი მშვენება ბოტანიკური ბაღი, სადაც ასჯერ და ათასჯერ ვყოფილვარ, მაგრამ მეათიათასედაც მოვალ, პატარა ტბაში მცურავ ოქროსფარფლიან თევზებს მოვეფერები და საკენკს დავუყრი, აუზიდან წყალს ამოვიღებ და დუმფარას ფოთლებს გადავასხამ, სადაც იგი წვეთებად დაიშლება და ისევ აუზში მიბრუნდება, მერე ბამბუკის კორომში გავივლი და ვიტყვი–რამ შექმნა ეს საოცრებები.

მოსანატრებელი კიდევ ბევრია–ახალი ათონის მღვიმე–ჩვენი ექსკურსიების პირველი ობიექტი ულამაზესი ბუნებრივი ფორმებით და თბილისის „დარბაზით“, რიწა–იდუმალი და მშვენიერი, რომლის დანახვაც გაფიქრებინებს, რომ ასეთი რამ არასდროს გიხილავს, გაგრა–ჩვენი ძველი ქალაქი...

...დღევანდელი რეალობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დიდი ხნის უნახავები შევხვდეთ ერთმანეთს და ვუთხრათ როგორ მოგვენატრა ერთმანეთი. ამ მონატრების გამოძახილია ალბათ, ქალაქ ანაკლიაში მშენებარე სასტუმრო „აფხაზეთი“, რომელიც სოხუმის სასტუმრო „აფხაზეთის“ ზუსტი ასლია. ესეც, ალბათ მონატრებამ, შენზე ფიქრის გამოძახილმა შექმნა...

დიახ, აფხაზეთო, ჩვენო საყვარელო ალაგო, ჩვენ კვლავ ერთად ყოფნა გვიწერია, რადგან ასე დაგვანათლა განგებამ, და ამიტომ ასე მოგმართავ, „ახლებურად მენატრები, ძველებურად მიყვარხარ!“

**მანანა შულაია**

# „მუსიკა შფოთვა, მუსიკა თრთოლვა“

მუსიკა, ზოგადად, ხელოვნების ის სფეროა, რომელსაც ადამიანებისთვის სიამოვნების მინიჭება შეუძლია. ალბათ ძნელად იპოვით ადამიანს, ვისაც მუსიკა არ უყვარს, მაგრამ არც ისე ხშირია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სიმღერის ნიჭით იყოს დაჯილდოებული და თვითონ ატკბობდეს სხვას. სწორედ ამის დასტურია ის, რომ დღეს საქართველოში პლუს ფონოგრამებზე „მღერის“, ბუმია. საქართველოში შეიძლება ყოველი მეორე ადამიანი ღიღინებდეს, მაგრამ გერქვას მომღერალი და სცენიდან უმღეროდე სხვას, მინიმუმ კარგ მუსიკალურ სმენასა და ხმას მოითხოვს და შემდეგ საშემსრულებლო ხელოვნებას. დღეს ძალიან ხშირად მოწმენი ვხვდებით, როგორ აყოლებენ შემსრულებლები პირს სიმღერის ფონოგრამებს კომპიუტერზე გასწორებული ხმებით, რაც ვითომ, მოტყუებულ მსმენელში, ირონიულ ღიმილს იწვევს.

ხშირად გვესმის–„შოუბიზნესი“ არ არსებობსო, ზოგი ამბობს არსებობსო. რამოდენიმე დღის წინ გადაცემა „$100^0$ C –ზე გამართულ დისკუსიაზეც თვალნათლივ დაიხატა ის პრობლემა, რაც დიდ საშემსრულებლო სცენაზე ხდება, ამიტომაც ნიჭიერი ახალგაზრდების პატრონობა თავიდანვე სწორი გზით უნდა დავიწყოთ. ამ მოტივით ხორციელდება დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში პროგრამა „ვარსკვლავები“, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ინიციატივით უკვე მესამედ ტარდება. ეს ღონისძიება მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს 6-დან 29 წლამდე ახალგაზრდებს. კონკურსის მთავარი მოთხოვნა სიმღერის ცოცხალი შესრულებით წარდგენაა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ვოკალური შესაძლებლობების დახვეწას, მუსიკალური გემოვნების გაზრდას. ამ მიზნებით 3 ნოემბერს გამართულ მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსში მონაწილეებმა სიმღერები 2 ნომინაციაში წარმოადგინეს, ჩემი საყვარელი სიმღერა (იგულისხმება პატრიოტული სიმღერა) და სიმღერა კინოფილმიდან.

კონკურსანტთა სიმღერების შესრულების ხარისხი შეფასების კომისიამ 10 ბალიანი სისტემით შეაფასა. ყურადღება გამახვილდა რეპერტუარის თემატიკაზე და შემსრულებელთა ესთეტიკურ მხარეზე. მოთხოვნების შესაბამისად, ჟიური დაკომპლექტებული იყო შემდეგი შემადგენლობით: ნანა ბუკია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი–ჟიურის თავმჯდომარე; დათო ლატარია-ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანამშრომელი; ნაზი ბერაია–ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის მუსიკალური სკოლის სპეციალისტი; ია კაკულია–ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელი; ბესიკ ქავთარაძე–მხატვარი.



კონკურსმა გამოავლინა წარმატებულები. გამარჯვებული ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ სუვენირებით. ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად 6-დან 12 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში I ადგილი დაიკავა ლიზი ცანავამ (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);

12–დან 16 წლამდე ახალგაზრდებში–დიტო ჭითანავამ (თორსის საჯარო სკოლა);

16-დან 29 წლამდე ასაკში კი გამარჯვებული სალომე მურღულია (ქვემო ქვალონის სკოლა) გახდა.

კონკურსის დასასრულს ჟიურის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საჯარო სკოლისა და რესურსცენტრის ხელმძღვანელებს თანამშრომლობისათვის. ჟიურის სხვა წევრებთან ერთად, სიგელები და სუვენირები გამარჯვებულებს გადასცა–I,II,III ადგილზე გასულებს და დაასახელა ჟიურის სიმპათია–ლალი ბაღბაია (ხობის №2 საჯარო სკოლა). ნანა ბუკიამ მადლობა მოახსენა მონაწილე ახალგაზრდებს აქტიურობისათვის, დამსწრე საზოგადოებას–გულშემატკივრობისათვის და აღუთქვა, რომ მსგავსი ტიპის მხარდაჭერას ხელისუფლება ახალგაზრდებისადმი მუდმივად გააგრძელებს, რათა მათ უკეთესი მონაცემებითა და შესაძლებლობებით საზოგადოების წინაშე წარდგენის სტიმული მიეცეთ. დასასრულს, ჟიურის თავჯდომარემ ახალგაზრდებს გაუმხილა კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი–ყველა მონაწილე მიწვეულიქნა შიდა ქართლში ექსკურსიაზე. ამ საჩუქარმა დიდი სიხარული გამოიწვია ახალგაზრდებში. თითოეული მოზარდის ერთმანეთთან დამეგობრების, მათ მიერ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ისტორიის შესწავლის ხელშეწყობამ, კულტურული და პატრიოტული მოტივების ერთიანობამ ,კიდევ უფრო საინტერესო და ლამაზი გახადა ხობის პატარა „ვარსკვლავების“ „ვარსკვლავური“ დღეები.

**ნინო გერგაია**

## 16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

# „სახლში მშვიდობიდან-მსოფლიოში მშვიდობამდე!“

ამ სლოგანით ქალაქ ხობში, ფონდ „სოხუმის“ ორგანიზებით მოეწყო ქალთა მშვიდობიანი აქცია, რითაც ის ტრადიციულად ჩაერთო ყოველთვიურ საერთაშორისო–საინფორმაციო კამპანიაში–„ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“.

კამპანიის ფარგლებში, მთელ დასავლეთ საქართველოში, ფონდის წევრები, მოხალისეები, ახალგაზრდა ლიდერები, პარტნიორები და ბენეფიციარები გეგმავენ აქციებს, შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან. ასევე ტარდება „მრგვალი მაგიდა“, ფილმების ჩვენება, დისკუსიები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები. გავრცელდება კამპანიისთვის საგანგებოდ შექმნილი საინფორმაცი ფურცლები, პოსტერები, კალენდარები, ბუკლეტები.

საერთაშორისო კომპანიის მასალებში ნათქვამია, რომ „2011 წლის კამპანია არის საშუალება, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ და განვიხილოთ, თუ რა შეუძლია ქალთა უფლებების დაცვის გლობარულ მოძრაობას იმ სისტემების შესაცვლელად, რომელთა წყალობითაც გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობა ყველა დონეზე–ადგილობრივიდან გლობალურამდე“.

„16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!“ არის საერთაშორისო კამპანია, რომელსაც 1991 წელს საფუძველი ჩაუყარა ქალთა გლობარული ლიდერობის ცენტრმა. კამპანიის დამაარსებლებმა შეარჩიეს თარიღები 25 ნოემბერი–ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე და 10 დეკემბერი–ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე. 1991 წლიდან 16 დღიან კამპანიაში, უკვე ჩართულია 150-ზე მეტი ქვეყანა და 2800-ზე მეტი ორგანიზაცია. მათ გააჩნიათ საერთო მიზნები: გენდერული ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის ფორმის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, ძალადობის წინააღმდეგ ქალთა სოლიდარობის დემონსტრაცია, ადგილობრივი რესურსების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უნდა ვიცოდეთ, რომ ძალადობის წინააღმდეგ კანონის შემოღება ბევრ სხვა ღონისძიებასთან ერთად, როგორიცაა არაძალადობრივი კულტურის პროპაგანდა, ქალის უფლებების წინა პლანზე წამოწევა, ძალადობის, როგორც უმძიმესი სოციალური ბოროტების აღქმა, საუკეთესო საშუალებაა მისი პროფილაქტიკისათვის.

„სახლში მშვიდობა“ ეხმიანება და უკავშირდება „მსოფლიოში მშვიდობას“, ამიტომაც აერთიანებს მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანს კამპანიის სლოგანი:

„სახლში მშვიდობიდან–მსოფლიოში მშვიდობამდე“!

**მანანა შულაია**



# გვეყოლება კარგი გუნდი

***28 ნოემბერს ხობის „კოლხეთის" გუნდმა გათამაშების ცხრილში მე-4 ადგილზე მყოფი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფეხბურთელებს უმასპინძლა. მთელი მატჩი მიმდინარეობდა ხობელთა აშკარა უპირატესობით და შედეგიც თვალშისაცემი გახდა–5:2 „კოლხეთის" გუნდის სასარგებლოდ. გოლები სტუმართა კარში გელა ლომაიამ (2 ბურთი), გიორგი გოგენიამ, ცოტნე ბუკიამ და ოთარ ფიფიამ გაიტანეს, ბოლო შეხვედრა „კოლხეთმა" ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ზაზა გელაშვილი, ლევან ჩაჩიბაია, ოთარ ფიფია, ლევან გოგენია, გიორგი გოგენია, ცოტნე ბუკია, ვაგნერ ფირცხელავა, ლაშა მეფიშვილი, გელა ლომაია, ირაკლი გერგაია, რობიკო ცობეხია. ამ მატჩში ასევე მონაწილეობა მიიღეს სათადარიგო ფეხბურთელებმა გოგა ხუნჯუამ, კოტე ალანიამ, გურამ პაჭკორიამ და პაპუნა გაბრავამ.***

***აღსანიშნავია ის, რომ ხობის „კოლხეთის" გუნდმა ბოლო ოთხი შეხვედრა ჩაატარა მაღალ დონეზე და შედეგიც ხელშესახები გახდა–ორი მოგება, ერთი ფრე და მხოლოდ ერთი დამარცხება.***

***თუ რა შეიცვალა გუნდში, რა გახდა უკეთესი თამაშების მიზეზი, გავესაუბრეთ ხობის „კოლხეთის" გუნდის დირექტორს ბატონ იური ჭანტურიას.***

***ვხედავთ, რომ გუნდმა ბოლო ოთხი შეხვედრა წარმატებით ჩაატარა. რა მოხდა გუნდში ასეთი, კარგი თამაში რას უნდა დავუკავშიროთ?***

–დავიწყოთ იქიდან, რომ შეიცვალა გუნდის მთავარი მწვრთნელი. საფეხბურთო კლუბში მან ძალიან მოკლე ხანი დაჰყო. მიუხედავად იმისა, რომ მას გუნდთან წლის ბოლომდე ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული, შემოთავაზება მიიღო უმაღლეს ლიგაში მყოფ ფოთის „კოლხეთის" საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობისაგან და არჩია იქ წასულიყო. მთავარი მწვრთნელის წასვლის შემდეგ გუნდს სათავეში ჩაუდგა და მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს ხობის „კოლხეთის"



ყოფილი, ცნობილი ფეხბურთელი თენგიზ ჭიჭინაძე, რომელიც აქამდე მთავარი მწვრთნელის ასისტენტის ფუნქციას ასრულებდა. უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ თენგიზ ჭიჭინაძეს გააჩნია მწვრთნელის სერთიფიკატის „ბ" კატეგორია. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გუნდის ხელმძღვანელობამ და მწვრთნელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ბოლო ხუთ ტურში ეთამაშა ადგილობრივ (ხობელ) ფეხბურთელებს, რადგანაც ჩამოსულმა ფეხბურთელებმა ვერ გაამართლეს ჩვენი იმედები, რაც ჩატარებული მატჩების შედეგებშიც აისახა.

ბოლო შეხვედრაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდმა იაქტიურა და ოთხ შეხვედრაზე შვიდი ქულა აიღო, (ადრე ჩატარებული 15 შეხვედრიდან მას მხოლოდ 9 ქულა ჰქონდა აღებული), რაც კარგი მაჩვენებელია.

***როგორია სამომავლო გეგმები?***

–ბოლოს გუნდს თამაში ქ. სამტრედიაში ჰქონდა. ფეხბურთელებმა ცდა არ დააკლეს და კარგად ითამაშეს, მაგრამ ბოლო წუთზე გაგვიტანეს გოლი და მატჩი 1:0, სამტრედიის გუნდის სასარგებლოდ დამთავრდა. მომავლისთვის გუნდის ხელმძღვანელები მწვრთნელებთან შეთანხმებით, კურსს აიღებს ადგილობრივი ფეხბურთელებით გუნდის დაკომპლექტებაზე, რადგან ჩვენ გვყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ ერთგულად თამაში, რომლებსაც უფრო მეტად უყვართ საკუთარი მუნიციპალიტეტის გუნდი და უფრო მეტად გრძნობენ პასუხისმგებლობას საკუთარი გულშემატკივრების წინაშე.

***კიდევ რას გვეტყვით?***

–მინდა მოახლოებული ახალი წელი მივულოცო ყველა ხობელს, განსაკუთრებით კი ჩვენი ფეხბურთის იმ გულშემატკივრებს, რომლებიც ყოველგვარ ამინდში–სიცხეში, სიცივეში გუნდს ერთგულად უდგანან მხარში და ამხნევებენ, როგორც აქ, შინ, ისე გასვლით თამაშებში. მჯერა, მომავალი წელი გამარჯვებების წელი იქნება ხობის „კოლხეთისთვის".

***მანანა შულაია.***

ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე

# დავამარცხოთ გრიპი



უბრალო გაციების თუ გრიპის მიღმა შეიძლება სხვა დაავადება იმალებოდეს. საკუთარი თავისთვის დიაგნოზის დასასმელად კი ჟურნალში ჩახედვა მოგიწევთ. აქ კი სიმპტომების დამარცხების გზები განვიხილოთ. ეს მთავარია, რაც გაციებისას შეგვიძლია გავაკეთოთ (დასვენებისა და დიდი რაოდენობით სითხის მიღების გარდა). რამდენიმე დღეში ორგანიზმი ვირუსების საწინააღმდეგო ანტისხეულებს თვითონვე გამოიმუშავებს და მავნე მიკრობებს ორგანიზმიდან განდევნის. შეგახსენებთ: ანტიბიოტიკები ვირუსებზე არ მოქმედებს, ამიტომ მათი მიღება მხოლოდ გართულების შემთხვევაშია საჭირო და მაშინაც აუცილებლად ექიმმა უნდა დაგინიშნოთ.

სიცხე თავდაცვითი რეაქციაა, რომელიც ვირუსების განადგურებას უწყობს ხელს, ამიტომ წამალს მანამდე ნუ დალევთ, ვიდრე ტემპერატურა 38.5°C-ს (მცირე ასაკის ბავშვებში–38°C-ს) არ გადააჭარბებს. სიცხის დასაწევად გამოგადგებათ პარაცეტამოლი, იბუპროფენი, ასპირინი... ამ უკანასკნელს ნუ მისცემთ 12 წლამდე ასაკის ბავშვებს – მოსალოდნელია იშვიათი, მაგრამ უმძიმესი გართულება რეიეს სინდრომი (ღვიძლისა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება).

სურდო, ვირუსული ანთება ლორწოვანი უჯრედების შეშუპებასა და გააქტიურებას იწვევს. სისხლძარღვების შემავიწროებელი პრეპარატები ამ მოვლენებთან გამკლავებაში გვეხმარება. ისინი ცხვირის წვეთების, აეროზოლებისა და აბების სახით გამოდის. გახსოვდეთ: აეროზოლისა და წვეთების ხანგრძლივი გამოყენება ლორწოვანის კვებას არღვევს და შესაძლოა, ქრონიკული რინიტი გამოიწვიოს.

ყელის ტკივილთან ბრძოლა სავლებითაც შეიძლება. მაგალითად, თბილი მარილიანი ან სოდიანი წყლით, სამკურნალო მცენარეების (სალბის, გვირილის, ევკალიპტის) ნაყენებით. თუ ტკივილი ყლაპვის დროს გაწუხებთ, მკურნალობის ეს მეთოდი შვებას მოგგვრით. ხმის ჩახლეჩისა და ხველისას ანთებითი პროცესი ანატომიურად უფრო ქვემოთ არის განლაგებული, სავლები მას ვერ მისწვდება. მედიკამენტური საწუწნი აბები (მაგალითად ლივ-ანგინი) აცხრობს ანთებას, აყუჩებს ტკივილს, აუვნებლებს მიკრობებს და ამით მეორეული ბაქტერიული გართულებების ალბათობას ამცირებს.

ხველა, თუმცაღა შემაწუხებელი და ნერვების მომშლელია, საჭირო, აუცილებელი რეფლექსი გახლავთ, ამიტომაც ნუ აჰყვებით ცდუნებას, მაშინვე დათრგუნოთ. ხველის დამთრგუნველი პრეპარატები მხოლოდ მშრალი ხველის დროს უნდა დალიოთ (უმჯობესია, ექიმთან შეთანხმებით), გაციებისას კი ნახველის გამათხიერებელი და ამოსახველებელი საშუალებები უფრო უპრიანია. ასეთია, მაგალითად, ლიზლი, მელონი, ეხინასალი.

გამოგადგებათ კომბინირებული პრეპარატებიც, მაგალითად, ეფექტი ფლუ, პიროსალი. მათ ერთდროულად აქვთ სიცხის დამწევი, ლორწოვანი გამონადენის შემამცირებელი და მატონიზირებელი ეფექტი.

# მანგო–წამალია



ევროპელებმა ამ ხილს დიდი მსხალი უწოდეს. მანგო მდიდარია კალიუმით, ფოსფორით, სპილენძით, თუთიით, E, D და B ჯგუფის ვიტამინებით. კაროტინით ორგანიზმში გარდაიქმნება A ვიტამინად, რომელიც ხელს უწყობს მხედველობის გაუმჯობესებას, კანს კი ხდის გლუვს და იცავს ნარუჯით გამოწვეული დაბერებისგან.

მანგო აძლიერებს იმუნიტეტს, ეწინააღმდეგება კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. მეცნიერებმა მანგოში აღმოაჩინეს ანტივირუსული თვისების მქონე ფერმენტი მაგნიფერონი, მას იყენებენ ჰერპესის სამკურნალოდ. მანგოს კანისა და კურკების ფქვილს იყენებენ შემკვრელად, ფოთლებსა და ტოტებს –კბილის პასტის მაგივრად. თუ კვირის განმავლობაში დღეში ერთ მანგოს შეჭამთ, ახალგაზრდულ იერს დიდხანს შეინარჩუნებთ.

მანგო არ არის რეკომენდებული კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეატიტის), კუჭის მწვავე ანთების (გასტრიტის), ღვიძლის (ჰეპატიტის) დაავადების დროს.

მანგოსთან ერთად არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება, მავნებელია დღეში ერთ ცალზე მეტის ჭამა-შეიძლება გამოიწვიოს კუჭის აშლილობა.

# ლიმონი გვიცავს ავიტამინოზისგან...



აღმოსავლურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებენ ლიმონს, როგორც უნივერსალურ წამალს, რომელიც შველის პრაქტიკულად თითქმის ყველა დაავადებას. ის უხვად შეიცავს C ვიტამინს. ლიმონი მდიდარია მინერალური მარილებით. კალიუმის C ვიტამინთან ერთად გამოდევნის ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს, წმენდს ორგანიზმს და იცავს შარდკენჭოვანი დაავადებებისგან, კანი შეიცავს ეთეროვან ზეთს, რომელსაც აქვს ძლიერი ბაქტერიოციდული თვისება. გარდა ამისა, ლიმონის არომატი ტონუსს მატებს ნერვულ სისტემას, ამუხრუჭებს ვეგეტო-სისხლძარღვოვან დისტონიას და აწესრიგებს არტერიულ წნევას, შველის შაკიკს და სურავანდს. არის ნაღველმდენი, სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი.

ხელს უშლის ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას და ათეროსკლეროზის განვითარებას, ასტიმულირებს თირკმლების და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობას. ახალგამოწურული ლიმონის წვენი აფერმკრთალებს ჭორფლსა და პიგმენტურ ლაქებს, აღიავებს თმის ფერს.

თუ ლიმონის წვენით გაიწმენდთ სახეს ან ლიმონიან კოსმეტიკურ კრემს იხმართ, ნუ გაირუჯებით სოლარიუმსა და პლაჟზე–კანი გაგიღიზიანდებათ.

# სასარგებლო წვენები

იშვიათია, ბავშვი, წვენი რომ არ უყვარდეს, მაგრამ საინტერესოა, რომელი ხილისა თუ ბოსტნეულის წვენია ყველაზე მეტად სასარგებლო მზარდი ორგანიზმისთვის. ამის შესახებ პედიატრი ინგა იოსავა გვესაუბრება.

-ახალგამოწურული წვენი ჩვილისთვის ყველაზე მეტად სასარგებლოა და, ეჭვგარეშეა, სჯობია მაღაზიაში ნაყიდ მზა წვენს. როგორ გამოვწუროთ ხილი ისე, რომ წვენმა მაქსიმალურად შეინარჩუნოს ვიტამინები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები?

-წვენის გამოწურვა ორგვარად შეიძლება: ტრადიციულად სახეხზე გახეხვით და შემდეგ დოლბანდში გაწურვით და ელექტრონული წვენსაწურით. თანამედროვე ტექნიკის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ხილ-ბოსტნეულის ლითონთან შეხებისას ვიტამინები აქტიურად იშლება, პროგრესის მომხრენი კი საპასუხო არგუმენტს გვთავაზობენ: როდესაც ხილსა თუ ბოსტნეულს თუნდაც პლასტმასის (და არა ლითონის) სახეხზე ვხეხავთ, მერე კი მიღებულ მასას ხელით ვწურავთ, პროდუქტს უფრო მეტხანს უხდება ჰაერთან კონტაქტი, რაც ასევე უკარგავს სასარგებლო თვისებებსო. თანაც ყოველგვარი ხილის გახეხვა ვერ მოხერხდება, მაგალითად, ციტრუსისა, ალუბლისა... მეორე მხრივ, ელექტროწვენსაწურის უახლესი მოდელიც კი ვერაფერს უხერხებს ბროწეულს მისი წვრილი კურკები აპარატს აზიანებს. ამრიგად, ორივე მეთოდს აქვს ნაკლი; სასარგებლო თვისებების დაკარგვა ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალია. ჩვენი ამოცანაა, ეს დანაკარგი მინიმუმამდე დავიყვანოთ.

- როგორ შევარჩიოთ გასაწური ხილი თუ ბოსტნეული? კარგ წვენს მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტისგან მიიღებთ. ნუ დაგენანებათ დაზიანებული, დამპალი ვაშლი თუ სტაფილო გამოწურვა მას სასარგებლო თვისებებსა და სასიამოვნო გემოს ვერ დაუბრუნებს. გამოსაწურად საუკეთესოა საკუთარ ბაღსა თუ ნაკვეთში მოწეული ხილი და ბოსტნეული. უცხოეთიდან შემოტანილი, ასევე ნაადრევად დამწიფებული ხილ-ბოსტნეული ბევრ ნიტრატს შეიცავს დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტს.

- ხილი შევარჩიეთ, წვენიც გამოვწურეთ, მაგრამ როდის და როგორ უნდა დავალევინოთ იგი პატარას?

- ახალგამოწურული წვენის მიცემას თავისი წესები აქვს, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა წვენმა სარგებლობა მოუტანოს პატარას. წესი პირველი: წვენი არ უნდა შევურიოთ საკვებს, ანუ არ უნდა მივცეთ ბავშვს ჭამის დროს. უმჯობესია, დავალევინოთ კვებიდან კვებამდე არსებულ შუალედში, თუნდაც ჭამამდე 30 წუთით ადრე. წესი მეორე: ახალგამოწურული წვენი უნდა განვაზავოთ წყლით, თანაფარდობით 1:1. ეს იმიტომ, რომ კონცენტრირებული, განუზავებელი წვენი თრგუნავს კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციას, ხოლო განზავებული, პირიქით, ასტიმულირებს. კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება კი კუჭის ფერმენტული აქტივობის შემცირებას იწვევს. წესი მესამე: წვენებს მხოლოდ სარგებლობის მოტანა როდი შეუძლიათ, ზოგჯერ მათ ზიანიც მოაქვთ. სხვადასხვა წვენი უკუნაჩვენებია სხვადასხვა დაავადების დროს. აკრძალვები უმთავრესად კუჭ-ნაწლავის (გასტრიტი), თირკმლისა და საშარდე გზების დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის დროს წესდება. ზოგიერთი წვენის მიღება არამც და არამც არ შეიძლება წამლებთან, მაგალითად, ანტიბიოტიკებთან ერთად. არსებობს მონაცემები, რომ გრეიპფრუტის წვენი მედიკამენტის ეფექტზე უარყოფით გავლენას ახდენს. წესი მეოთხე: ბავშვებისთვის, ისევე როგორც მოზრდილებისთვის, არ არის რეკომენდებული უზმოზე მჟავე ვაშლის, ციტრუსის წვენის მიღება. მის მაგივრად ჯობს მისცეთ სტაფილოს, გოგრის, გარგარის წვენი ან სხვა ტკბილი წვენების ნარევი. მეხუთე მეტად მნიშვნელოვანი წესი: წვენი გამოწურვისთანავე უნდა დალიოთ. თუ 30 წუთზე მეტხანს შეინახავთ, იგი დაკარგავს სასარგებლო თვისებების უმეტესობას. ბუნებრივი კონსერვანტია ლიმონის წვენი, ამიტომ თუ მის რამდენიმე წვეთს დაუმატებთ, სასმელი 30 წუთის შემდეგაც შეინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.

# ეთერ შუშანია



გარდაიცვალა შუშანიების ცნობილი ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი, 120 წლის წინ სოფელ პირველ მაისში სკოლის დამაარსებლის, ესტატე შუშანიას უმცროსი ქალიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეთერ შუშანია.

იგი ხუთი ათეული წელი მუშაობდა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის კათედრაზე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში.

ეთერ შუშანიამ დაამთავრა ხეთის სკოლა, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი I ხარისხის დიპლომით, ასპირანტურა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომლის თემა იყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. დაცვას თავად დიდი პოეტიც ესწრებოდა, რომელმაც მიულოცა დისერტანტს სამეცნიერო ხარისხის მინიჭება, გულითადად ჩამოართვა ხელი, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშით შეხვდა.

ქალბატონმა ეთერმა რამდენიმე წლის შემდეგ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მეორე დიდოსტატზე (კონსტანტინე გამსახურდია–ისტორიული პროზა). თავად ბატონი კონსტანტინე ესწრებოდა დაცვას, სიტყვითაც გამოვიდა და მაღალი შეფასება მისცა ნაშრომს, ოპონენტი იყო აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი.

სტუდენტობისას ქალბატონ ეთერს შესაძლებლობა მიეცა, ემუშავა საქართველოს რადიოკომიტეტში, რომელსაც სათავეში ცნობილი კინორეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლეო ესაკია ედგა, მან დაარსა „ოქროს ფონდი“, სადაც უნდა ჩაწერილიყო ყველა გამოჩენილი ადამიანის ხმა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ეთერ შუშანია, ამჯერად, როგორც რადიოოპერატორი და კორესპონდენტი.

პროფესორი ეთერ შუშანია არის 80–მდე სამეცნიერო შრომის, თუ ლიტერატურული ნარკვევის ავტორი, აქედან ზოგი ცალკე წიგნადაა გამოცემული. ისინი დაწერილია მაღალი გემოვნებით, დახვეწილი სტილით. საკმარისია დავასახელოთ წერილები ილიაზე, ვაჟა–ფშაველაზე, შალვა დადიანზე, მონოგრაფიული გამოკვლევები კონსტანტინე გამსახურდიაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, გიორგი ლეონიძეზე, ირაკლი აბაშიძეზე, კოლაუ ნადირაძეზე.

ეთერ შუშანიას ბიოგრაფიას ამშვენებს ახლო ურთიერთობები კონსტანტინე გამსახურდიასთან, გერონტი ქიქოძესთან, გიორგი ლეონიძესთან, გიორგი ნატროშვილთან, ბესარიონ ჟღენტთან, კოლაუ ნადირაძესთან.

ეთერ შუშანიას არქივში ყურადღებას იპყრობს დიდი ქართველი მწერლების ავტოგრაფებით და გულთბილი წარწერებით დამშვენებული წიგნები, ფოტოსურათები. ასევე საინტერესოა ცნობილი ადამიანებისა თუ მისი სტუდენტების მიერ მისადმი მიძღვნილი ლექსები, წერილები...

მწუხარებით ვეთხოვებით ქართველი მწერლებისა და პოეტების მუზას, უმშვენიერეს, ელეგანტურ, ცისფერთვალება ქალბატონს.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ, ქალბატონო ეთერ!

***ნინო ცხადაია.***

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თაობების აღმზრდელი, საუკეთესო პიროვნება

**ეთერ ესტატეს ასული შუშანია**

და თანაუგრძნობენ მის ახლობლებს.

---

გარდაიცვალა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დიდი ესტატე შუშანიას ქალიშვილი ქალბატონი **ეთერ შუშანია**.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვეთხოვებით უკეთილშობილეს ქალბატონს, ინტელექტისა და სიფაქიზის ეტალონს, მრავალი მონოგრაფიის ავტორს.

ეთერ შუშანია დიდი დანაკლისია ჩვენი რედაქციისათვის. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, რომელიც ასე უყვარდა.

---

# თეა კანკია



ტკივილით და დარდით, ცრემლითა და გოდებით გავიდა ეს საშინელი დღეები. წუთში დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე ჩვენო საყვარელო, თეა! რას ვიფიქრებდი, 13 ნოემბრის კვირა საღამოს, შენი ბიძაშვილის ქორწილის ღამეს, შენისთანა ხალისიანი, თბილი და კეთილი, სიყვარულითა და სიხარულით სავსე, მეორე დილით მოულოდნელად დატოვებდი ამქვეყნიურ ცხოვრებას და გადაინაცვლებდი ზეციურ სამყაროში. მხოლოდ 35 წლით შემოიფარგლა შენი ხანმოკლე ცხოვრება. ალბათ მეტი დრო არ გქონდა დარჩენილი, ამიტომ ჩქარობდი ყველაფერს... სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი, ერთი წელი მუსიკის მასწავლებლად იმუშავე ჩვენთან, ხეთის ბაღში, ხოლო 18 წლის ასაკში შენი ცხოვრება დაუკავშირე აფხაზეთის მკვიდრს–მერაბ შაკაიას. 12 წელი ხარობდით და ტკბებოდით თქვენი ერთადერთი ვაჟიშვილი იაგოთი. მაგრამ ეს სიხარული 4 წლის წინ შენი მეუღლის უცაბედი სიკვდილით დამთავრდა. შენმა ნაზმა და სათუთმა გულმა ვერ გაუძლო ამდენ ტკივილს და საბოლოოდ თქვენი უსაყვარლესი შვილი იაგო დატოვეთ ობლად... რამდენი ფიქრი და ოცნება დაგრჩათ აუსრულებელი, მაგრამ გჯეროდეთ, რომ თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია, რადგანაც იაგოს სახით ისეთი ნიჭიერი და ძლიერი ვაჟკაცი გეზრდებათ.

ძნელია ყველაფერ იმასთან შეგუება, რაც შენი უეცარი სიკვდილით თავს დაატყდათ შენს მშობლებს, ახლობლებს მათ შორის ჩვენც, ბაღის თანამშრომლებს, შენს ყველაზე ახლო მეგობარს–სოფიკოს რა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ შენი გულდათუთქული დედა იზოლდა და შენი ერთადერთი და ნათია, რომელსაც შენზე ფიქრი და დარდი არ ასვენებს.

უფალს შევთხოვთ, რომ მარადიული ნათელი და სასუფეველი მიანიჭოს შენს ლამაზ სულს.

***ჯულიეტა, სოფიკო და თემური ბუკიები.***

---

ხობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ქალაქ ხობში, კარლო ჯობავა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორის, მრავალი ოპერის, კლასიკური მუსიკისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების შემქმნელის, ღირსების ორდენის კავალერის, ქალაქ ხობის საპატიო მოქალაქის

**შალვა დავითაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

პირველი მაისის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ამავე სკოლის დამაარსებლის ესტატე შუშანიას ქალიშვილის–ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის

**ეთერ შუშანიას**

გარდაცვალების გამო.

---

აზირა გერგაია, ზაურ ცხადაია, ფიროსმან ფილიპია ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**კუკური რამიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

# ნანა ზანთარაია

## „მე ლამაზი მეგობარი მყავდა!“



უკვე წარსულ დროში მომიწია ამ სიტყვების თქმამ. ნანა, დიდი ხნის უნახავი მყავდი, არც არაფერი გამიგია შენს ავადმყოფობაზე. ჩვენ თითქმის ერთდროულად წამოვედით სკოლებიდან და ისე ხშირად ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს, როგორც ადრე, როცა სკოლის დირექტორები ვიყავით. დიდხანს ვმუშაობდით ერთად, გვერდიგვერდ ვისხედით ერთი და იგივე ამორჩეულ ადგილებზე თათბირსა თუ სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე. ერთნაირად გვიხაროდა წარმატებები, ძალზე რთულად გამოვიარეთ სამოქალაქო ომის წლები, ის პერიოდი, როცა ქვეყანას უჭირდა და რა თქმა უნდა, გვიჭირდა ჩვენც, ჯერ პირადული, მერე კი ამას ემატებოდა სკოლის პრობლემებიც. თვალწინ მიდგას შენი ლამაზი, მეტყველი ცისფერი თვალები, რომელიც ყველა მეგობარს სინაზითა და სიყვარულით უმზერდა, შენი ძალიან თბილი ხმა და დახვეწილი ქართული მეტყველება. როგორ გიხაროდა სკოლის წარმატებები, როცა მასზე საუბარს იწყებდი, თითოეულ დეტალს, უმნიშვნელო რაღაცასაც კი აღნიშნავდი, არ გიყვარდა შენი პირადული პრობლემების სხვებთან საუბარი. ყველას მეგობარი, უწყინარი, სათნო და კეთილი ადამიანი იყავი.

ყველა შეხვედრაზე ცდილობდი სკოლის პრობლემები წამოგეწია წინ, ზემდგომ ორგანოებთან ერთად გადაგეწყვიტა ისინი. კარგად მახსოვს შენი გამოსვლები, რომელიც ეხებოდა სკოლისთვის რემონტის ჩატარებას, მიშენების საკითხს, სპორტული დარბაზის თუ ღია მოედნის მოწყობას და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, შენი კოლეგები აღტაცებაში მოვუყვანივართ შენს მიერ ჩატარებულ ღია გაკვეთილებს, რომელიც იყო შენი ნიჭიერებისა და შემოქმედების ნამდვილი დღესასწაული. დღევანდლამდე მახსოვს შენს სკოლაში ჩატარებული ლიტერატურულ–მუსიკალური კომპოზიციები, რომლებიც სხვადასხვა თემებს ეხებოდა და მაღალმხატვრულად იყო წარმოდგენილი.

უშენოდ ნამდვილად მოიწყენს შენი სკოლა, რომელსაც ესათუთებოდი, მოიწყენენ შენი ყოფილი მოსწავლეები, რომლებზედაც ზრუნავდი და გარდა საგნისა, ზნეკეთილობასაც ასწავლიდი, დააკლდები სოფელს, რომლის კოლორიტიც იყავი, დაგვაკლდები ჩვენ–შენს მეგობრებს, რომლებთანაც მრავალი წლის ურთიერთობა გაკავშირებდა. მაგრამ ყველაზე მეტად უშენობას, შენი ოჯახი იგრძნობს, რომელმაც დაკარგა საყვარელი ქალბატონი, თავგამოდებული, ერთგული და მოსიყვარულე დედა.

ჩემო ნანა, შენს ბოლო დღეს გნახე, ავადმყოფობას როგორ შეუცვლილხარ. არ მინდა ამის გახსენება, გეტყვი, რომ შენ ჩემს მახსოვრობაში დარჩები ისევ ისეთი ლამაზი, მეოცნებე და სიცოცხლით სავსე, როგორიც ადრეულ წლებში.

სიკვდილსაც ჰქონია გემოვნება, რადგან კიდევ ერთი ლამაზი ქალის სიცოცხლე წაიყოლა თან.

***მანანა შულაია***

---

# ემზარ კუპრეიშვილი

მალე ერთი წელი გახდება, რაც ჩვენს შორის აღარა ხარ ემზარ ბიძია. უღვთო იყო შენი სიკვდილი, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება. ყველას ძალიან გვენატრები. ასე გვგონია, თითქოს სხვაგან ხარ წასული და მალე დაგვიბრუნდები. არადა, რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი.

ცრემლები აღარ შეშრობია ჩვენს დედას თვალებზე. თალხებში ჩაცმული თითქოს ყოველთვის შენს მოსვლას ელოდება. არადა, შენ აღარ ჩანხარ, ვერც ვერასდროს გნახავთ ჩვენო საყვარელო ბიძია. ყველასთვის გაჭირვების ტალკვესი, სხვისი სიხარულისა და ტკივილის გამზიარებელი, საიმედო მეგობარი და მეზობელი იყავი, ყველას სჯეროდა შენი, კაცური კაცის სახელით იცხოვრე ამქვეყნად, იმქვეყნად კი გვჯერა, სამუდამო ადგილს დაიმკვიდრებ სასუფეველში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

***შენი დისშვილები ფატიმა და მანუჩარ ხვითარიები.***

---

# ხატია (ნონა) ალექსანდრია



ერთი წელია ჩვენგან წახვედი, დაგვიტოვე სევდა, ნაღველი, მოგონებები... შენ, შენი ოჯახის მძიმე და აუტანელი ტკივილი ხარ, რომელიც არასოდეს განიკურნება, ვერაფერი შეავსებს შენი დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს.

32 წლით სტუმრობდი წუთისოფელს. გარეგნობით გამორჩეულს სიხარულის სხივი შეგქონდა ოჯახში, გაჭირვებულის დახმარება იყო შენი მიზანი, რომელსაც ყოველთვის შეუმჩნევლად ახერხებდი.

გვჯერა, რომ ღმერთმა ღირსეულთა შორის ზეცაში დაგიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი. შენს სახელს დავიწყების ბინდი არ გაეკარება, სულ ნათელში იქნება შენი უკვდავი სული.

**შენი ოჯახი, მეგობრები.**

სკოლამდელ დაწესებულებებში

# ის დღე არასოდეს დამავიწყდება

სიხარულით ცას ვეწიე, როცა გურიფულის საბავშვო ბაღიდან „შემოდგომის დღესასწაულზე" დასასწრებად მოწვევა მივიღე. ამ სოფელთან თბილი და სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, რადგანაც სოფლის სკოლა-გიმნაზიაში მასწავლებლად ვმუშაობდი და იმ დღეების მიმართ დიდი ნოსტალგია დამრჩა.

...შეხვალ თუ არა საბავშვო ბაღ „ფესვების" ეზოში, პირველი, რაც თვალში მოგხვდება, კედელზე დახატული პატარებია, რომლებიც დიდი მუხის ფესვებზე დგანან, თითქოს მნახველს აქვე, ამავე კედელზე დაწერილი ლექსის სტრიქონებით მიმართავენ:

„ჩვენ ვართ ფესვები ძლიერი მუხის,
ჩვენ ავარიდებთ ქვეყანას წუხილს!
ჩვენ გავაბრწყინებთ იმერ-ამიერს,
მამულო ჩემო, მრავალჟამიერ!"

...დერეფანში გამოფენილია ბესო ქავთარაძის მიერ დახატული საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პორტრეტები, „შემოდგომის ნობათი", ხილის, ციტრუსისა და ფერად-ფერად ფოთოლთა კონები, აღსაზრდელთა ხელით შესრულებული აპლიკაციები.

მთავარი სიურპრიზი დიდ დარბაზში გველოდა: დარბაზის ერთ მხარეს აღსაზრდელთა მშობლებსა და საბავშვო ბაღის თანამშრომლებს შემოდგომის სურათები გაუცოცხლებიათ, რას არ ნახავთ აქ! ღვინის ქვევრი, თიხის ქოთნები და ფიალები სიმინდის ტაროებით სავსე კალათები. გიდელი, საიდანაც ქარვისფერი ყურძნის მტევნები იმზირებიან, ხის გობები სავსე ხურმით, ვაშლით, ფეიხოიათი, წნელის ჩელტის გასწვრივ თავს იწონებენ კვახები, ლობიოს ყლორტები, ზაფრანის, პილპილისა და ნივრის რამდენიმე აცმა, მოპირდაპირე კედელთან მოწყობილ დაბალ ტაბლაზე ღვინით სავსე დოქია თიხის თასები და ყანწი დგას, თითქოს მოქეიფეებს ელოდებიანო.

კედლის ერთი ნაწილი დათმობილი აქვს ქართულ ანბანსა და არითმეტიკულ ციფრებს, აქვეა ინგლისური ენის ანბანიც. მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო ამ საბავშვო ბაღის (მთავარი სპეციალისტი ელისო სხულუხია) ინიციატივა. აქ ინგლისურ ენას, შრომის ანაზღაურების გარეშე ასწავლის პედაგოგი ლია ლატარია, ადგილობრივი მკვიდრი, ოცდაათწლიანი სტაჟით. 3–4 წლის პატარებმა იციან საკუთარი და ოჯახის წევრთა სახელები, გვარები, ინგლისურად პასუხობენ კითხვებს სად ცხოვრობ? რომელ ქვეყანაში? რა ქვია შენს სოფელს? ქალაქს? საბავშვო ბაღს? იციან მისალმებისა და დამშვიდობების ტექსტები, რამოდენიმე ლექსი და სიმღერა, სათამაშოების სახელები და სხვა. აღსაზრდელმა ნათია კოდუამ წაიკითხა მისასალმებელი ტექსტი. შემდეგ კი პატარებმა თავი წარუდგინეს სტუმრებს.

დალოცეს შემოდგომის ბარაქა, ხვავი, ლექსები წაიკითხეს აღსაზრდელებმა: ნათია კოდუამ, ქრისტინე წურწუმიამ, ლუკა გულუამ, მარიამ ცეკვაშვილმა. ჩინებულად წარმოადგინეს „წითელქუდას" ზღაპარი, „მუხამბაზის" სტრიქონები, მოეფერნენ აღმზრდელებს.

ინგლისური ენის დიდი სიყვარული გამოამჟღავნეს აღსაზრდელებმა დიმიტრი ნაჭყებიამ, ანანო ვადაქარიამ, ლუკა გულუამ, ნათია კოდუამ. ყველნი მოგვხიბლა პატარების მიერ შესრულებულმა ქართულმა ცეკვამ (სოლისტები ანანო ვადაქარია და დიმიტრი ნაჭყებია).

საბავშვო ბაღის მზარეულმა მარინე კვირკველიამ სტუმრებსა და აღსაზრდელებს მოართვა მისი ნახელავი ტორტი, რომელსაც ერთადერთი სანთელი ანათებდა იმის აღსანიშნავად, რომ საბავშვო ბაღი „ფესვები" მხოლოდ ერთი წლისაა.

ფიცივით გაისმა ერთ-ერთი გამორჩეული აღსაზრდელის დიმიტრი ნაჭყებიას მიერ წაკითხული ლექსის შემდეგი სტრიქონები:

ღმერთო, ღმერთო, დალოცე
ჩემი ტურფა მამული,
წინაპართა ცრემლით და
სისხლით გადანამული!

ამაღელვებელი იყო აღსაზრდელთა ქცევა, როცა მათ გულზე დაიდეს პატარა ხელები და შეასრულეს „საქართველოს ჰიმნი".

სადღესასწაულო ზეიმს ესწრებოდა გამგეობის რწმუნებული გურიფულის თემში ბატონი სოსო ჭანტურია. მან მადლობა გადაუხადა საბავშვო ბაღის კოლექტივს ამ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობისთვის და შემდგომი წარმატებები უსურვა.

...მოვდიოდი და გულში ვღიღინებდი ქართული სულისკვეთებით გამთბარ სტრიქონებს:

„კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს
ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან ჯავრი შესჭამონ მტრისანი!"

ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.

***მანანა თათარიშვილი,***
***პედაგოგი.***

# შემოდგომის ვერნისაჟი

შემოდგომის ზეიმმა ნოჯიხევის საბავშვო ბაღში გადაინაცვლა (მთავარი სპეციალისტი ნონა ალანია). ღონისძიების ჩასატარებელი დარბაზი შემოდგომის ნობათით დაიხუნძლა, სადაც უხვად იყო წარმოდგენილი სიმინდი, კვახი, მანდარინი, ხურმა, ხილით სავსე კალათები...

პატარები ედიტა მასწავლებელთან ერთად სტუმრების წინაშე წარსდგნენ და უამრავი ლექსითა და სიმღერით გაგვახარეს. შემოდგომის ზეიმი ნოჯიხევის საბავშვო ბაღში იმითაც იყო გამორჩეული, რომ პატარებმა ხალასი, სხარტი იუმორი და ორიგინალური ნომრები შემოგვთავაზეს. ზეიმს შემოდგომის დედოფალი თამთა თოდუა ამშვენებდა, რომელიც მთელი ღონისძიების მანძილზე ლექსებითა თუ სიმღერებით მაყურებლის მოხიბვლას ცდილობდა. შემოდგომის ფერებიან კოსტიუმებში გამოწყობილმა აღსაზრდელებმა შემოდგომა ხალისიანად გააცილეს, ბევრი იმხიარულეს და დამსწრე საზოგა-



დოებასაც დიდი სიამოვნება მიანიჭეს. აღსაზრდელებმა ანა ბებო მოიხმეს და ტკბილი ჩურჩხელის ამოვლება სთხოვეს. ღონისძიება მხატვრულ-შემოქმედებითი კომპოზიციით აღმზრდელ–მასწავლებლის ედიტა ნანავას და მუსიკის მასწავლებლის მაია გერგაიას მიერ იყო გაფორმებული.

...და ბოლოს, შემოდგომის ზეიმზე იმდენი ლამაზი, ნიჭიერი და ბრწყინვალე ბავშვი გამოვლინდა, შეუძლებელია ყველა მათგანის ჩამოწერა.

ზეიმს, ამ საბავშვო ბაღის აღზრდილები „მის სამეგრელო 2011" წლის ტიტულის მფლობელები ლიზი ლიპარტია და თიკო ლაგვილავა ესტუმრნენ. ისინი პატარებთან ცარიელები არ მოსულან, ხილით სავსე კალათა მოიტანეს და სიმღერაც შეასრულეს.

ნოჯიხევის საბავშვო ბაღში შემოდგომის დღესასწაულმა მასშტაბური და მონაწილეებისათვის დასამახსოვრებელი ღონისძიება გამართა. ღონისძიებას დაესწრო და პატარებს შემოდგომის დღესასწაული მიულოცა მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა მანანა წულეისკირმა, მან მადლობა გადაუხადა მათი ნიჭის ასე კარგად წარმოჩენისთვის და ყველას ბარაქიანი შემოდგომა უსურვა.

რაც მართალია, მართალია, ნოჯიხევის სააღმზრდელო ჯგუფის კოლექტივმა უკვე შექმნა საკუთარი ხელწერა!

გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

***ნანა კემულარია.***

# მსოფლიო ჩემპიონატზე ხობელი მკლავჭიდელის მორიგი წარმატება



ყაზახეთის ქალაქ ალმა-ათაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მკლავჭიდში, საქართველოს ნაკრების წევრებმა 3 მედალი მოიპოვეს. მათ შორის 110 კგ წონით კატეგორიაში მემარცხენეებს შორის წარმატებით იასპარეზა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა მოქმედი ევროპის ჩემპიონი, ხობელი გენადი კვიკვინია.

# რესპუბლიკურ ტურნირზე გაიმარჯვა



ქალაქ ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის ძიუდოს ფედერაციის ორგანიზებით გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე ძიუდოში წარმატებით იასპარეზა „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" სასპორტო სკოლის მოსწავლე გიგა ჯაჯავამ (მწვრთნელი მ. მორგოშია) და პირველი ადგილი დაიკავა. ხობელი სპორტსმენი დაჯილდოვდა თასით, სიგელითა და პირველი ხარისხის მედლით.

# დასრულდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში

ქალაქ ხობში გაიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ხობის მუნიციპალიტეტის თემების, სოფლებისა და ქალაქ ხობის გუნდები. ტურნირი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით და გამარჯვებულები გამოვლინდნენ ინდივიდუალურ და გუნდურ ჩათვლაში.

გუნდურ ჩათვლაში გათამაშების გამარჯვებული გახდა შუა ხორგის თემის გუნდი, მეორე ადგილი ქალაქ ხობის გუნდმა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე საჯიჯაოელი მოთამაშეები გავიდნენ.

ინდივიდუალურ ჩათვლაში ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა ილია ქანთარიამ (ქ. ხობი), მეორე ადგილი თემურ ლატარიამ დაიკავა (შუა ხორგის თემი), ხოლო მესამე ადგილზე გიზო კონჯარია გავიდა (ნოჯიხევის თემი), ქალთა შორის პირველ ადგილს ნინო გაბრავა (ხეთის თემი) დაეუფლა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება 2011 წლის დეკემბერში.

გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე!"



ერთი წლით, მხოლოდ 17 ლარად!

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე"

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია,
რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში."
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.